



ლევან თედიაშვილი

LEVAN TEDIASHVILI

ნუგზარ შატბაიძე

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguja Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenaishvili

პროექტის კოორდინატორი
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsiauri

ტექსტი
ნუგზარ შატაიძე

TEXT
Nugzar Shataidze

დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქცია
**ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავიძე,
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე**

EDITORIAL STAFF
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო
**მიხეილ ზარგარიანი, გივი კიკვაძე, იური სომოვი,
ფრედ გრინბერგი, ალექსანდრე კოტორაშვილი, www.sportphoto.ge**

PHOTO
**Mikhail Zargaryan, Givi Kikvadze, Yuri Somov,
Fred Grinberg, Aleksandre Kotorashvili, www.sportphoto.ge**

პარტნიორები
**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია**

PARTNERS
**Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
Georgian Wrestling Federation**

ISSN 2233-3096
ISBN 978-9941-0-3489-3

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

ლევან თედიაშვილი

2011

© საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია
© GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION

— იჭიდავე, ლევან!

— იჭიდავე, ჯერ არ წააქციო!

— ეჭიდავე რა, ეჭიდავე!!! — იჭაჭება მაყურებელი.

სპორტის სასახლეში თბილისის საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს. ლევან თედიაშვილი უკვე სახელგანთქმული ფალავანია — ოლიმპიური თამაშების ორგზის და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია. ქართველ მაყურებელს, რასაკვირველია, ყველაზე მეტად მისი ნახვა უნდოდა, ყველა მის გამოსვლას ელოდებოდა.

აი, გამოვიდა კიდეც. სახეზე ისეთი ეშმაკური ღიმილი დასთამაშებს, თითქოს რომელიღაც ცხარე კახური ანეკდოტი ახსენდებაო, მეტოქესაც გაღიმებულმა ჩამოართვა ხელი, უეცრად ფეხებში შეუვარდა, ასწია და სანამ ის აზრზე მოვიდოდა, ბეჭებზე დადო! ატყდა ერთი ამბავი, აღტაცებული მაყურებლის ღრიანცელისა და ყიჟინისაგან კინაღამ სპორტის სასახლის სახურავი ჩამოიქცა.

იგივე ხდება მეორე და მესამე წრეშიც — ლევანი სულ რამდენიმე წამში ამთავრებს შეხვედრებს, არადა მაყურებელს მისი ჭიდაობის ნახვა სწყურია, ამისათვის ზოგი რაიონებიდანაც კი ჩამოსულა, განსაკუთრებით ბევრნი საგარეჯოელები არიან.

— იჭიდავე რა, ლევან, იჭიდავე!

— იჭიდავე, შე ოხერო, შენა! — გაჰკივის ლევანას კარის მეზობელი „კრუხის ბიჭი.“

ლევანი კი მეოთხე წრეშიც ისევ ისე გაღიმებული გამოდის ხალიჩაზე, ისევ ელვისებური სისწრაფით ამთავრებს შეხვედრას და მსაჯი-ინფორმატორიც ისეთივე საზეიმო ხმით აცხადებს:

— ოთხ წამში გაიმარჯვა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლევან თედიაშვილმა!

მაყურებელი უკმაყოფილოა — თედიაშვილის ჭიდაობის ნახვა უნდოდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

— ეს რა ქნა, კაცო?! — უკვირთ ჭიდაობის ძველ, გამოცდილ ქომაგებს.

— ეს ვინა ყოფილა, ე?! — იკრიჭებიან ქალაქელი ბიჭები.

— მაიცა, ჩამოვიდეს იქა! — იმუქრება სახემომრუშხული „კრუხის ბიჭი.“



და მართლაც, იმავე ღამით, როცა სოფელში ჩასული ლევანი გაშლილ სუფრას მიუჯდა და ქიტესამაც ღვინის სველი ხელადა შემოდგა მაგიდაზე, „კრუხის ბიჭმა“ კარი შემოაღო, ოთახში შემოვიდა, სკამი გამოსწია, დაჯდა და გამარჯვებულ ფალავანს პირგამეხებული მიაჩერდა.

— რა იყო, რანაირად მიყურებ? — ჰკითხა ლევანმა.

— რათა ხარ, ბიჭო, შენა ეგეთი პეიტარი, ჰა?

— რა პეიტარი?!

— მა რა იყო, რო ერთი ჭიდაობა არ გვაჩვენე ხალხსა!

— როგორ არ გაჩვენეთ.

— ე, მაიმუნი ხარ და აბა, რა უნდა გელაპარაკო, — განზე გაიხედა „კრუხის ბიჭმა.“

— მაიხედე, აქეთ მაიხედე!

— ჰო, რა იყო.

— რამდენი გადაიხადე ბილეთში?

— მანეთი, რა უნდა გადამეხადა.

— მეტი არა?

— მეტი რათ უნდა გადამეხადა, როგორც სხვამ, ისე მეცა.

— მერე, რაც გადაიხადე, გენაცვალე, მეც სწორედ იმისი ვიჭიდავე. არა, ბიჭო და შენი მანეთის გულისთვინ ჯიგარს გავიცლიდი!

„კრუხის ბიჭმა“ უყურა, უყურა და მერე ლევანის მამას მიუბრუნდა:

— ე, ჩემო ქიტეს, შენთვინ ი გიტლერის ბომბს თითები კი არა, სხვა რა-მე უნდა წაეწყვიტა!

— რათა, კაცო?! — გაეცინა ქიტესას.

— ეს არგასაზრდელი რო არ გაგეკეთებინა, იმიტომა!

* * *

მეორე მსოფლიო ომის დროს ქიტესა ქერჩში დაიჭრა, ყუმბარამ ფეხის ტერფები და ხელის თითები წაასხიპა. რამედნიმე მძიმე ოპერაციის შემდეგ, ჰოსპიტალში სამი კვირა უგრძნობლად იწვა. გონს რომ მოვიდა და თვალე-ბი გაახილა, პირველად თავისი მომვლელი რუსის გოგო, შურა ერიკალოვა

დაინახა. კარგი, ჯიშიანი გოგო იყო და მაშინვე გულში ჩაუვარდა, მაგრამ მალევე შეიტყო, რომ იმას ქმარიც ჰყოლოდა და შვილიც. მოიწყინა, დადარდიანდა. ის იყო, ჰოსპიტლიდან უნდა გამოეწერათ, რომ შურას ფრონტიდან ქმრის დაღუპვის მაუწყებელი შავი ქაღალდი მოუვიდა. ქიტესამ მგლოვიარე ქალს მაინც ვერაფერი გაუბედა — საქართველოში ისე წამოვიდა, გულის ნადები ვერ გაუმხილა. არადა, სოფელში ჩამოსულს, ერთთავად ის გოგო ედგა თვალწინ, აგონდებოდა მისი ნაღვლიანი ღიმილი, ატმის ყვავილისფრად შეფაკლული ლოყები. ახსენდებოდა, როგორ დადიოდა, როგორ ლაპარაკობდა, შუბლზე ჩამოშლილ თმას როგორ ისწორებდა

კარგა ხანმა გაიარა, მაგრამ ქიტესას არაფერმა უშველა, ერთთავად დაღონებულსა და დადარდიანებულს, ხელიდან არაფერი გამოუდიოდა, გახდა, გაილია. ბოლოს, გულმა ვეღარ მოუთმინა, შურას წერილი მისწერა და საქართველოში დაპატიჟა.

ქალი მიპატიჟებამ გაახარა: ომი ახალი დამთავრებული იყო, რუსეთში ხალხი შიმშილობდა, იფიქრა, იქ საჭმელი მაინც იშოვება, ბავშვს წავიყვან, გამოვკვებავ, ცოტათი მოვაფერიანებო და ჩამოვიდა.

ქიტესას ცა გაეხსნა — გამხიარულდა, ისე შეიცვალა, ახლობლები ვეღარა სცნობდნენ. მაშინღა მიხვდნენ, რა ცეცხლიც ტრიალებდა მის გულში. სტუმარს დაუყვავეს, მიეფერნენ და მალე ერთი კარგი ქორწილიც გადაიხადეს.

შურა სამუდამოდ დარჩა საქართველოში. თავიდან გაუჭირდა — უცხო ხალხი და უცხო გარემო ეხამუშა, თანაც, მთელ სოფელში, ქიტესას მეტმა რუსული არავინ იცოდა და შინაურსა და გარეულს, ყველას მუნჯურად ელაპარაკებოდა, მაგრამ 1948 წელს, როცა ლევანი შეეძინა, გაშინაურდა, ოჯახისა და ვენახის საქმეს ალღო აუღო და თანდათანობით ქართულიც ისწავლა.

* * *

ამ ოციოდე წლის წინათ, თელავიდან თბილისს მომავალმა, ლევანს სოფელში გამოვუარე, რაღაც საქმე მქონდა. ძახილზე შურა დეიდამ გამომხედა, შემიპატიჟა, მაგრამ რაკი ლევანი შინ არ იყო, აღარ შევედი. წამოს-

ვლისას ვკითხე: დეიდა შურა, ამ გზით ტრასაზე ხო გავალ-მეთქი? არა, შვილოო, — სუფთა ქართულით მიპასუხა, — ეგ უვარგისი, შოშია გზაა, აი ესე, მარჯვნივ წადიო.

მოვდიოდი და მეცინებოდა: ეს „შოშია გზა“ რაღა იცის, კაცო, რა არი მაინც ეს დალოცვილი კახეთი-მეთქი!

* * *

ხუთი წლის გერს ქიტესა საკუთარი შვილივით ზრდიდა, ფრონტზე დაღუპული მამის ხათრით გვარიც კი არ შეუცვალა, საგარეჯოს რუსულ რვაწლიან სკოლაში მიაბარა, საშუალო კი თბილისში დაამთავრებინა. გერმანეს ჭიდაობის ნიჭი აღმოაჩნდა, ცოტა რომ მოიზარდა, სოფლის საჭიდაოზე გაეჩვია, ქართული ჭიდობის ილეთები ისწავლა, ტოლებთან ძალა მოსინჯა. ჯარგამოვლილმა, ცოლი შეირთო, საცხოვრებლად კიშინიოვში დარჩა, ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა და ჭიდაობის მწვრთნელი გახდა.

* * *

ერთხელ ლევან თედიაშვილს ვკითხე, მაინც რა იყო, რატომ გახდი მოჭიდავე-მეთქი.

იმიტომ, რომ ქათმის ხორცი მიყვარდაო.

გამიკვირდა, ქათმის ხორცი რა შუაშია-მეთქი?!

გეტყვიო: „დედაჩემი ქათამს მარტო მაშინ დაგვაკვლევინებდა, სტუმარი რომ მოგვივიდოდა, მაგრამ იმ ქათმისა მე მარტო ერთი ბარკალი მხვდებოდა, ჰა, ჰა, ერთი ბარკალი და ერთიც ფრთისძირი, არადა ძალიან მიყვარდა, ვგიჟდებოდი ქათმის ხორცზე. ერთხელ, რაიონის მოზარდ მოჭიდავეთა ნაკრებში ამიყვანეს. შეკრებაზე ვართ. სადილის დრო რომ მოვიდა, შეგვიყვანეს სასადილოში და წინ ნახევარი შემწვარი ქათამი დამიდეს. მორიდებით ვიკითხე — ბოდიში, მაგრამ, ესა სუ ჩემია-მეთქი? შენია, მა ვისიაო! აი, სწორედ მაშინა ვთქვი გულში: მორჩა, თქვენ მე აქედან ვეღარ გამაგდებთ-მეთქი!“

გურამ საღარაძე: „ლევანი ჭიდაობისთვისაა დაბადებული. როცა მის შეხვედრას ვუყურებ, ვფიქრობ, ამ ბიჭს ნაკლს ვერ მოვუძებნი-მეთქი. მომადლებული აქვს დიდი ღონე, საოცარი სისწრაფე, პლასტიკურობა. ყოველივე ეს შერწყმულია გამბედაობასთან, ილეთების მდიდარ არსენალთან, გამჭრიახობასთან, გამარჯვებისაკენ დაუცხრომელ ლტოლვასთან.“



მოდი და დაიჯერე. რასაც ეს არ იტყვის, ის გაგიკვირდეს!

სინამდვილეში, ქათმის ხორცი არაფერ შუაშია. საქმე ის არის, რომ საგარეჯოში უხსოვარი დროიდან უყვართ ქართული ჭიდაობა. მთელს ქართლ-კახეთში და იქაც, ტრადიციულად, შეჯიბრებები ყველა საერო და საეკლესიო დღესასწაულებებზე იმართებოდა — ადრე გაზაფხულიდან დაწყებული გვიან შემოდგომამდე, ყველგან, სადაც კი ნახერხმოყრილი საჭიდაო ეგულებოდათ, უამრავი ხალხი იკრიბებოდა, უკრავდა ზურნა და დოლი, წრეში დატრიალებული ბიჭები მუქარით იქნევდნენ იფნის სახრეებს, მოზღვავებულ ხალხს უკან ახევინებდნენ. საჭიდაო წრეში ჯერ ბალღები გამოჰყავდათ, მერე მოზრდილი ყმაწვილები, ბოლოს კი დაღვინებული ფალავნები.

ქართულ ჭიდაობას თავდაპირველად საბრძოლო დანიშნულება ჰქონდა და სამხედრო მომზადების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენდა, ამიტომაც შემთხვევითი როდია, რომ სპორტის ეს ეროვნული სახეობა საქართველოს იმ კუთხეებში უფრო განვითარდა, სადაც მოსახლეობა მტრის მუდმივი შემოსევებისაგან ზარალდებოდა.

ერთხელ, სტუმრად ჩამოსული იაპონელი მოჭიდავეები მასპინძლებს ერთ სოფელში წაუყვანიათ. კვირა დღე ყოფილა და სოფლის საჭიდაოზე, ჩვეულებისამებრ, თურმე, შეჯიბრება მიმდინარეობდა. ცხადია, იაპონელები ჭიდაობით დაინტერესებულან. მარჯვე სარმებით, მოგვერდებითა და კისრულებით მოხიბლულ ერთ იაპონელ ფალავანს იმ მოჭიდავეების მწვრთნელი მოუკითხავს და როცა აუხსნიათ, ამ ბიჭებს მწვრთნელი არა ჰყავთ, ილეთებს ისინი ფეხისადგმისთანავე სწავლობენო, უთქვამს — ახლა აღარ მიკვირს ქართველების ასეთი დიდი წარმატება მსოფლიო სარბიელზეო.

ლევან თედიაშვილის წარმატების მიზეზიც ბალღობაში ნასწავლი ქართული ჭიდაობაა, რომელსაც იგი „დედა ჭიდაობას“ ეძახის.

პირველად მას საგარეჯოელმა მწვრთნელმა ვალერიან მეკოკიშვილმა მიაქცია ყურადღება, 14 წლის ბიჭი ჭიდაობის სექციაში ჩაწერა და რამდენიმე ფანდი ასწავლა. 1966 წელს ლევანმა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ პირველობაში გაიმარჯვა, მერე საქართველოს ჩემპიონი გახდა ქართულ, თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში.

იმ წელს კაკაბეთში კარგი საჭიდაო არენა მოაწყეს. გახსნაზე ტელევიზიიდან ოპერატორები ჩამოვიდნენ. მათ ვახტანგ ბალავაძეც ჩამოჰყვათ. ლეგენდარულმა საგარეჯოელმა ფალავანმა, არსენ მეკოკიშვილმა, ვახტანგს ურჩია, აბა, ერთი თედიაშვილს დაუკვირდიო. მართლაც, „ჭიდაობის პროფესორი“ აღტაცებული დარჩა, მას არასოდეს ენახა ასეთი ფენომენალური მონაცემების მქონე ჭაბუკი და რაკი მიხვდა, რომ იგი მომავალი დიდი ჩემპიონი იყო, თბილისში წამოიყვანა, თავისთან დააბინავა და მის გულმოდგინე წვრთნას შეუდგა. სწორედ ვახტანგმა შეასწავლა ლევანს მრავალფეროვანი ილეთები და თანდათანობით ჩამოუყალიბა მაღალი, უაღრესად დახვეწილი ფილიგრანული ტექნიკა.

1967 წელს, ცხრამეტი წლის ლევან თედიაშვილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებს შორის, მერე კი პოლონეთში ოლიმპიური „იმედის თასი“ მოიგო. მომდევნო წელსაც წარმატებით დაიცვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული და ოლიმპიური „იმედის თასს“ ახლა უკვე ლაიპციგში დაეუფლა. იმავე წელს გახდა სპორტის ოსტატიც.

1971 წელი ლევანმა თბილისის X საერთაშორისო ტურნირი მოიგო, მერე კი სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ფინალში იური შახმურადოვს შეხვდა. სახელგანთქმული მახაჩკალელი ფალავნის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. იმ დროისთვის შახმურადოვი ევროპის სამგზის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონი იყო. „სოვეტსკი სპორტი“ წერდა, მთელს პლანეტაზე არ მოიპოვება მოჭიდავე, შახმურადოვს ხალიჩაზე ბეჭი რომ დაადებინოსო. ცხადია, მსოფლიო პირველობის უმთავრეს პრეტენდენტადაც სწორედ ის მიაჩნდათ. თვითონ შახმურადოვი კი სხვაგვარად ფიქრობდა, მართალია, ახალგაზრდა თედიაშვილი ჯერ თვალითაც არ ენახა, მაგრამ, სამაგიეროდ, ზედმიწევნით კარგად იცნობდა ქართველ ფალავნებს და მათ შორის გურამ საღარაძეს, რომელთანაც მრავალი ფიცხელი ბრძოლა ჰქონდა გადახდილი. ამ ორი უძლიერესი მოჭიდავის გაუთავებელი დავა საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს საუკეთესო ფალავნის ტიტულისათვის არაერთი ლეგენდის საფუძველი გამხდარიყო. ბოლოს, როდესაც გურამმა ჭიდაობას თავი გაანება, შახმურადოვმა შვებით ამოისუნთქა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს შვება დროებითი ყოფი-



ლევან თედიაშვილი, ილია ჩხარტიშვილი, ირაკლი სარაჯიშვილი და შოთა ლომიძე

ლიყო — ახლა ხალიჩაზე, მის პირისპირ 23 წლის ლევან თედიაშვილი იდგა და... იღიმებოდა.

ამ ღიმილმა გამოცდილი შახმურადოვი საშინლად დააბნია. ვერ გაეგო, რა იყო, რატომ იღიმებოდა ეს ბიჭი, იქნებ იმიტომ, რომ ამით შიშის დამალვა უნდოდა, ანდა იქნებ მარცხს წინასწარ შეგუებოდა და ფიქრობდა, რა ვუყოთ, წაგება და მოგება ძმები არიანო. მაგრამ უეცრად მიხვდა, რომ ეს საკუთარ ძალაში დარწმუნებული კაცის ღიმილი იყო და, ცოტა არ იყოს, გაბრაზდა.

მიხეილ თიკანაძე იგონებდა: „როცა მსაჯებმა თედიაშვილი და შახმურადოვი ხალიჩაზე გამოიძახეს, ლევანის სეკუნდანტობა მე ვიკისრე. დავარიგე — ტემპში იჭიდავე, თამამად შეუტიე, მეტოქის იერიშს არ დაელოდო-

საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდაველთა ნაკრები — სსრ კავშირის 1969 წლის ჩემპიონი. თასით ხელში — ლევან თედიაშვილი

მეთქი. თავიდანვე ინიციატივა ხელთ იგდო და ორი ქულაც მალევე აართვა. ახლა მოპოვებულის შენარჩუნება იყო საჭირო, ამიტომ შესვენებისას შევაქე და ვუთხარი — კარგია, ისევ მაგ ტემპში გააგრძელე და, რაც მთავარია, ღიმილი არ დაგავიწყდეს-მეთქი.“

ბრძოლის დასასრულს შახმურადოვი უფრო მორალურად იყო დაღლილი, ვიდრე ფიზიკურად. მსოფლიოში აღიარებული ფალავანი საბოლოოდ ახალგაზრდა მეტოქის იმ უცნაურმა ღიმილმა გატეხა.

იური შახმურადოვის დამარცხებამ საკავშირო ნაკრების მწვრთნელები სერიოზულად შეაფიქრიანა: მიუნხენის ოლიმპიური თამაშების წინა წელი იდგა, მსოფლიო პირველობაც კარს იყო მომდგარი, შახმურადოვის იმედი ჰქონდათ, ის კი სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელ

1971 წელს, სოფიაში ლევან თედიაშვილი პირველად დაეუფლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს



მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე ლევან თედიაშვილმა მეექვსე წრეში ქულებით მოუგო რუმინელ სტელიცე მურკოვს. 1976 წელი

მოჭიდავესთან დამარცხდა. რა უნდა ექნათ? ჩემპიონის მარცხი შემთხვევითობას მიაწერეს და გადაწყვიტეს, საკავშირო პირველობას დალოდებოდნენ.

ეს დღეც მალე დადგა. შეჯიბრება მახაჩყალაში გაიმართა, მაგრამ იური შახმურადოვს მშობლიურმა კედლებმაც ველარ უშველეს.

ერთ-ერთი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა: „მეამაყება, როცა ჭიდაობის მანერით ფალავანთა ქართულ სკოლას მაკუთვნებენ. ჩემთვის საამაყოა ისიც, რომ სპორტულ სარბიელზე შესანიშნავი ქართველი მოჭიდავე გურამ საღარაძე შევცვალე. ამბობენ, ისტორია მეორდებაო — ახლა ლევან თედიაშვილმა დაიკავა საბჭოთა ნაკრებში ჩემი ადგილი. ვულოცავ, იგი ნამდვილად არის ამის ღირსი.“

ნაკრების მწვრთნელთა საერთო გადაწყვეტილებით, ბულგარეთის მსოფლიო ჩემპიონატზე ლევან თედიაშვილი გაემგზავრა, სადაც პირველი ოთხი შეხვედრა დროზე ადრე დაამთავრა: სენეგალელი მოჭიდავე 45 წამში გააკრა ხალიჩას, შვეიცარიელი — 30 წამში, ირანელი 80 წამში, პოლონელი — 40 წამში. ჩემპიონატის მთავარ ფავორიტებს: რუმინელ იორგას, იაპონელ სასაკისა და გერმანელ ჰორსტ შტოტმაისტერს კი, შეჯიბრების ბოლო დღეს, ქულებით მოუგო და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

სოფიაში მოპოვებული გამარჯვებისათვის ლევან თედიაშვილს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა, მის მწვრთნელ ვახტანგ ბალავაძეს კი დამსახურებული მწვრთნელისა.

თბილისში დაბრუნებულმა ლევანმა ინტერვიუში თქვა: მოჭიდავე ყოველთვის ვიქნებოდი, მაგრამ ვახტანგ ბალავაძე რომ არა, შეიძლება მსოფლიო ჩემპიონი ვერ გავმხდარიყავიო.

1971 წლის სეზონის შედეგების მიხედვით ლევან თედიაშვილი საქართველოს საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს.

* * *

ყველაფერი კი წინ იყო. ლევანი მიუნხენის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებოდა.

1972 წლის სეზონი, ტრადიციისამებრ, თბილისის საერთაშორისო ტურნირით დაიწყო, სადაც კიდევ ერთხელ იზეიმა გამარჯვება და თავისი მწვრთნელის, ვახტანგ ბალავაძის სახელობის პრიზი დაისაკუთრა, მაგრამ მიუნხენისაკენ მიმავალ გზაზე მოულოდნელად ისევ იური შახმურადოვი გადაეღობა. საქმე ის იყო, რომ საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებს აშშ-ს გუნდთან ამხანაგური შეხვედრა უნდა გაემართა და რადგან 90 კგ წონით კატეგორიაში ჩვენებს შესაფერისი ფალავანი არ ჰყავდათ, ლევანს წონა მოამატებინეს. ეს საბედისწერო შეცდომა იყო — ოლიმპიადის წინ ასეთი რამის გაკეთება ყოვლად დაუშვებელია.

ლევანმა მთელი რვა კილოგრამი მოიმატა და ამერიკელებთან ბრწყინვალედ იასპარეზა, მინსკის 1972 წლის საკავშირო ჩემპიონატისათვის კი ისევ დაიკლო და თავის ჩვეულ 82 კილოგრამს დაუბრუნდა, მაგრამ შესაფერისი კონდიცია ვეღარ აღიდგინა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მინსკში შესაფერისი შედეგი ვერ აჩვენა და იური შახმურადოვთან მეტად პრინციპული ბრძოლა ქულებით დათმო. საბოლოოდ, შახმურადოვი ჩემპიონი გახდა, ლევანი კი მეოთხე ადგილზე გავიდა. ამდენად, ოლიმპიადაში მისი მონაწილეობა სათუო გახდა.

ლევან თედიაშვილი: „შახმურადოვთან რომ წავაგე, ვიფიქრე, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი. თბილისში ჩამოსვლა აღარ მინდოდა. ისევ ვახტანგ ბალავაძემ მიშველა, დღედაღამ ჩამჩიჩინებდა — ნუ გეშინია, კაცო, ისევ ის ლევანა ხარ, რა ხელი ჩაგიქნევიაო. ცოტა გული მომიბრუნდა და ვარჯიში დავიწყე. დარბაზიდან აღარ გამოვდიოდი, ლამის იყო ღამეც იქ დამეძინა. მალე ფორმა აღვიდგინე. ისეთ ძალას ვგრძნობდი, მეგონა, მთას გადავაბრუნებდი, არადა, მიუნხენში ვერ მივდიოდი. ჯავრისგან ლამის გული გამხეთქოდა. ერთხელ წამომცდა — თუ უნდათ, შახმურადოვს ათჯერ დამჭიდონ და ერთხელაც თუ წამაქცია, აღარაფერს ვიტყვი, ის წაიყვანონ-მეთქი. არ ვიცი, ჩემმა სიტყვამ გაჭრა, თუ რა იყო — მართლაც ათჯერ შეგვახვედრეს ერთმანეთს და ათივეჯერ ვაჯობე.“

გურამ საღარაძისა და ლევან თედიაშვილის მარადიულმა მეტოქემ, როგორც იქნა, ფარ-ხმალი დაყარა და ჭიდაობას სამუდამოდ გამოეთხოვა, თუმცა მისი და ლევანის ურთიერთობა ამით არ დამთავრებულა — მალე,



ლევან თედიაშვილი
და ვახტანგ ბალავაძე.
მიუნხენი, 1972 წელი

იური შახმურადოვი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს.

* * *

სანამ მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებზე გიამბობდეთ, ერთ გვიანდელ ამბავს გავიხსენებ: 1987 წელია, გიორგი შენგელაია მხატვრულ ფილმს, „ხარება და გოგიას“ იღებს. მთავარ როლებზე ომარ ფხაკაძე და ლევან თედიაშვილი ჰყავს მიწვეული, მათ შორის, მეც — ხარებას ძმას ვთამაშობ. არც მე ვარ მსახობი, არც ესენი, მაგრამ ვცდილობთ და გიორგის დახმარებით რაღაცნაირად თავს ვართმევთ. მე და ომარს უფრო გვიჭირს, ლევანი კი ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. ის რომ არ იყოს, ნაღდად უფრო გაგვიჭირდებოდა, მაგრამ მისი ხუმრობა და სიცილი ძალას გვმატებს. რომ არ იცნობდე, ნამდვილი არტისტი გეგონება, ისე იქცევა, თითქოს ჭიპი ჰქონდეს ამ საქმეში მოჭრილი. ახლაც ჩამესმის მისი ლაზათიანი შეძახილი: „პური აღარა ვჭამოთ, მამაძალი?!“

ავალთ საგარეჯოს ტყეში, სადაც ყაჩაღების თავშესაფარია მოწყობილი: ცეცხლი ანთია, ჯაჭვზე ყურიანი ქვაბი ჰკიდია, იქვე გაბერილი ტიკია მიყუდებული, ერთი სიტყვით, უკეთეს საქეიფო ადგილს კაცი ვერ ინატრებს. ლევანი მიიხედავს, მოიხედავს, დაფიქრებული კეფას მოიქექავს და დამდგმელ რეჟისორს ეკითხება:

— ეხლა რამდენ ხანში უნდა დაიწყო გადაღება?

— აი, მივლაგდებით, მოვლაგდებით და... რა იყო?

— არაფერი, მე ერთი საათით უნდა გავვარდე, კანტორის გასაღები გამომყოლია (ლევანი იმ დროს კაკაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა).

— ჰა, ლევან, იცოდე ეხლა, არ დაიკარგო!

— არა, კაცო, რას ამბობ, თუ გინდა, აი, ეს გამომაყოლე, — ჩემზე ანიშნებს.

— მიდი, რა შატაიძე, გაყევი და დროზე ამოდით.

თეთრ „ნივაში“ ვსხდებით და ქვემოთ მივჯაყჯაყებთ.

საეჭვოდ გამხიარულებული ლევანი იცინის, ცქმუტავს, ადგილზე ვერ ისვენებს, ნაადრევად გამელოტებულ მძღოლს მხარზე უშველებელ ტორს გადასდებს და ანჯღრევს:

— ქოჩორ, შე ძველო!

ჩავდივართ კაკაბეთში, იქ დაბარებულებივით მივადგებით ერთ სახლს და მანქანიდან გადავდივართ.

— ვანო!

სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმის, ისეთი დროა, ეტყობა, ყველანი ვენახში არიან გაკრეფილები.

ლევანი კუტიკარს აღებს და შევდივართ. ერთი ხრიოკი ეზოა, ღობის ძირში ფიჩხია მიყრილი, სანეხვეზე ქათმები იქექებიან, საიდანღაც ყბაშავი ძაღლი გამოძვრება და, რაკი ლევანს იცნობს, ელაქუცება, ფეხებში უგორდება. გავივლით ეზოს, ბოსტანს და გომურს მივადგებით. ლასტებით შემოღობილ ბაკში ექვსი თუ შვიდი ბატკანი მიჰხუტებია ერთმანეთს. ლევანი მე მიყურებს:

— აბა, რომელი წავიყვანოთ?

საქმის მცოდნე კაცის იერით ვათვალიერებ ბატკნებს, ყველაზე მოზრდილს ვარჩევ.

ლევანი უბის ჯიბიდან ბლოკნოტსა და კალამს იღებს, რაღაცას დაწერს, ქაღალდს ამოხევს და ლასტის მანაზე ჩამოაგებს, მერე ზემოდანვე გადასწვდება და ბატკანს უკანა ფეხით დაითრევს.

ქაღალდზე ორი სიტყვა წერია: „ლევანამ წავიყვანე!“

ყბაშავი ძაღლი გაკვირვებული თვალებით გვიყურებს, ხან მე შემომხედავს, ხანაც ლევანს, მაგრამ ხმას როდი იღებს, ოდნავ, სულ ოდნავ აქნევს კუდს.

გამოვდივართ და ბატკანს მანქანაში ვსვამთ.

ცოტა ხანში ვშოულობთ ყველს, კიტრს, პამიდორს, „დედას პურებს“ და ღვინოსაც.

ჩვენი დამდგმელი ოპერატორი ლერი მაჩაიძე „ჩობან-ყაურმის“ დიდოსტატია, დაკვლა-გატყავებაც გვარიანად ეხერხება. გადაღება რომ დასრულდება, შემოვუსხდებით სუფრას და საგარეჯოს დაბურულ ტყეებში შუაღამემდე ისმის ჩვენი სიმღერა და მაუზერების ბათქა-ბუთქი.

მონრეალის ოლიმპიური კვარცხლბეკი — ბენ პეტერსონი (აშშ), ლევან თედიაშვილი და სტელიცე მურკოვი (რუმინეთი). 1976 წელი


ROMANIA

* * *

1972 წლის აგვისტო. მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები. „მესეგელენდეს“ სპორტული კომპლექსის ერთ-ერთ დარბაზში თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ასპარეზობენ.

პირველ დღეს მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, ლევან თედიაშვილი იოლად გაუსწორდა სენეგალელ ალუნ დიოპს, თავიდანვე მკვირცხლად შეუტია, მაგრამ სენეგალელი წმინდა წაგებისაგან ხან გონგმა იხსნა, ხანაც ხალიჩიდან გაქცევამ. ლევანი ქულას ქულაზე იღებდა და როცა მის სასარგებლოდ 17:1 იყო, დროც ამოიწურა.

მისი მომდევნო მეტოქე მონღოლი ტუმურ არტაგი უფრო გამოცდილი მებრძოლი გამოდგა, მაგრამ ლევანს არც მისი დამარცხება გასჭირვებია. ორი წრის შემდეგ ქართველ ფალავანს 1,5 საჯარიმო ქულა დაუგროვდა, მის მთავარ მეტოქეებს: გერმანელ შტოტმაისტერს (გდრ), ამერიკელ ჯონ პეტერსონს, შვედ ელნგრენსა და რუმინელ იორგას კი — თითო.

მესამე წრეში თედიაშვილი კურტ ელნგრენს შეხვდა. ლევანმა მოწინააღმდეგეს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა, ათჯერ მაინც გადაიყვანა ჩოქბჯენში, ორჯერ ხიდურზეც კი ჰყავდა, მაგრამ შვედი ორივეჯერ რაღაც სასწაულის ძალით გადაურჩა წმინდა წაგებას. ბოლოს, როცა ანგარიში 23:0 იყო, ლევანმა მეტოქე ბრუნზე დაიჭირა, წამოიღო და ხალიჩას ისე უხერხულად დაენარცხა, რომ შვედს ცხვირიდან სისხლი წასკდა და მსაჯთა კოლეგიამ ასპარეზობიდან მოხსნა.

მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს იორგამ და პეტერსონმა. სწორედ ამ უკანასკნელს შეხვდა თედიაშვილი მეოთხე წრეში. ლევანმა ამერიკელი პირველივე წამებზე გადაიყვანა ჩოქბჯენში, მერე რამდენჯერმე კიდევ აართვა ქულა და ბოლოს ხიდზეც დააყენა, მაგრამ პეტერსონი გონგმა იხსნა. მეორე და მესამე პერიოდში აღარაფერი შეცვლილა და ქართველმა ფალავანმა ამერიკელს ქულებით აჯობა.

მეხუთე წრეში ლევანმა პეტერ ნოიმაიერი (გფრ) დაამარცხა.

დადგა ასპარეზობის ბოლო დღე — 31 აგვისტო. მოჭიდავეები ასე დაწყვილდნენ: შტოტმაისტერი-პეტერსონი, იორგა-თედიაშვილი. საჯა-

რიმო ქულების მიხედვით, პირველი წყვილიდან, შანსი მხოლოდ გერმანელს ჰქონდა — გამარჯვების შემთხვევაში იგი ფინალში გადიოდა, მაგრამ დამარცხდა და ფინალურ ასპარეზობას ამერიკელთან ერთად ისიც გამოეთიშა.

ახლა ლევანს ფრეც ჰყოფნიდა, მაგრამ მეტოქეს თავიდანვე შეუტია, მეოცე წამზე ჩოქბჯენში გადაიყვანა და სულ მალე ერთი ქულა კიდევ აართვა. მეორე პერიოდში, როცა ლევანმა კიდევ ერთი ქულა აიღო, იორგა გადამწყვეტ იერიშზე გადავიდა. ქართველი ფალავანი თავს კარგად იცავდა, მან დამატებით ორი ქულა კიდევ მოიპოვა და ეს უპირატესობა შეხვედრის ბოლომდე შეინარჩუნა.

ორ სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში“ ასეთი ცნობა გამოქვეყნდა: „თბილისელი ლევან თედიაშვილი მეექვსე ოლიმპიურ დღეს, დილით, XX ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში. თბილისის უნივერსიტეტის 23 წლის სტუდენტი, მომავალი იურისტი თედიაშვილი უკვე იყო მსოფლიოს ჩემპიონი და წელს მას მხოლოდ ერთი ამოცანა ჰქონდა — მოეპოვებინა უმთავრესი სპორტული გამარჯვება. ეს ჯილდო კარგი საჩუქარი იქნება ლევანის ქორწილზე, რომელიც მისი ოლიმპიადიდან დაბრუნების შემდეგ გაიმართება.“

ცნობილი ჟურნალისტი არჩილ გოგელია კი მეორე დღეს გაზეთ „ლელოში“ წერდა: „31 აგვისტოს მთელს სამყაროს მოედო მიუნხენის ხალიჩაზე ქართველი ფალავნის ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი. ამ ცნობამ, ცხადია, განსაკუთრებული სიხარული საქართველოში გამოიწვია. „ვინ არის თქვენი იდეალი ჭიდაობაში?“ — ჰკითხეს ერთხელ ჟურნალისტებმა თედიაშვილს. ლევანმა უყოყმანოდ უპასუხა, გურამ საღარაძეო და ამით გამოხატა თავისი სპორტული კრედოცა და სიმპათიაც ჭიდაობის ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენლის მიმართ. ახლა ალბათ ისიც დაგაინტერესებთ, რა შეხედულებისაა საღარაძე თავის ახალგაზრდა კოლეგაზე: „ლევანი ჭიდაობისთვისაა დაბადებული, როცა მის შეხვედრას ვუყურებ, ვფიქრობ, ამ ბიჭს ნაკლს ვერ მოვუძებნი-მეთქი. მომადლებული აქვს დიდი ღონე, საოცარი სისწრაფე, პლასტიკურობა. ყოველივე ეს შერწყმულია გამბედაობასთან, ილეთების მდიდარ არსენალთან, გამჭრიახობასთან, გამარჯვები-

ლევან თედიაშვილისა
და ივან იარიგინის
შერკინება თბილისის
სპორტის სასახლეში

დიმიტრი მინდიაშვილი
და ლევან თედიაშვილი

საკენ დაუცხრომელ ლტოლვასთან. კიდევ ერთი რამ, რაც ასევე მისაბაძია ახალგაზრდა თაობის სპორტსმენთათვის — თედიაშვილს ამპარტავნობისა და მედიდურობის ნატამალიც არა აქვს, ძალიან თავმდაბალი და მოკრძალებული კაცია."

მიუნხენიდან დაბრუნებულ ლევანს საგარეჯოელებმა შეხვედრა მოუწყვეს, აქეს და ადიდეს, მრავალი ხოტბა შეასხეს, ქიტესამ კი მარტო ერთი რამ უთხრა: „შენ ამათ ყური არ უგდო, ვერან, გაიგე? რაცა ხარ, ეგა ხარ, მორჩა, მართლა დიდი ვინმე კი არ გეგონოს შენი თავი."

იმავე წლის 25 ნოემბერს გაზეთ „ლელოში" ასეთი ცნობა გამოქვეყნდა: „დღეს, სახელგანთქმულ ფალავან ლევან თედიაშვილს ქორწილი აქვს საგარეჯოში. გულითადად ვუსურვებთ ლევანსა და მის მომავალ მეუღლეს — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტ ნანა მჭედლიშვილს მყარი, მეგობრული ოჯახის შექმნას და გაბედნიერების დღეს ვულოცავთ."

ნანამ და ლევანმა მართლაც სამაგალითო ოჯახი შექმნეს, მალე ორი ვაჟიც ეყოლათ — ვახო და ბესო.

* * *

როცა გიორგი შენგელაიამ ხარება ჯიბუტზე და გოგია კენკიშვილზე მხატვრული ფილმის გადაღება გადაწყვიტა, ბევრი არ უფიქრია — ეს როლები ომარ ფხაკაძესა და ლევან თედიაშვილს შესთავაზა.

აქ არ შეიძლება ორიოდ სიტყვა ომარზეც არ ვთქვათ: იგი დაიბადა ქუთაისში, სადაც საერთოდ არ არსებობდა ველოსპორტის ტრადიციები, უფრო მეტიც, იქ ველოტრეკიც კი არ იყო, მაგრამ 1965 წელს ფხაკაძემ ესპანეთის ქალაქ სან-სებასტიანში ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა ველოსპორტის გრანდები მორელონი და ტურინი და მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა.

გიორგი შენგელაიას თავისი ანგარიშები ჰქონდა. იგი ფილმს იღებდა ცნობილ ვაჟკაცებზე, ტყეში გასულ ბიჭებზე, რომლებიც რეალურად ცხოვრობდნენ მეოცე საუკუნის დასაწყისის კახეთში. რეჟისორს უნდოდა

ეს პერსონაჟები ფიზიკურად ძლიერ, წარმოსადეგ პიროვნებებს განესახიერებინათ და მისი არჩევანიც სწორედ ამიტომ შეჩერდა თედიაშვილსა და ფხაკაძეზე, მაგრამ მათ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს.

რაკი ვერც ერთი ვერ დაითანხმა, შენგელაიამ დახმარებისთვის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივანს მიმართა. ჯუმბერ პატიაშვილმა ლევანი და ომარი თავისთან დაიბარა. არ ვიცი, რა უთხრა მათ „ამხანაგმა ჯუმბერმა," მაგრამ ფაქტია, რომ სტუდიის სამხატვრო საბჭომ ფხაკაძე და თედიაშვილი მეორე დღესვე მთავარ როლებზე დაამტკიცა.

ფილმის პირველივე ეპიზოდში ხარებას ძროხა მიუდის ბაზარზე გასაყიდად. ჯგუფის ადმინისტრატორმა საიდანღაც ერთი გიჟი საქონელი მოიყვანა, ვერ იმორჩილებენ — ხან აქეთ გაექცევათ და ხან იქით, კადრში ვერ ახვედრებენ. ლევანმა უყურა, უყურა და უთხრა: ე, ძროხავ, იცოდე, რასაც გეუბნებიან ის გაკეთე, თორემ გიორგა შენგელაია პატიაშვილთან გიჩივლებსო.

გურჯაანის სასტუმროში ლევანი, ომარ ფხაკაძე და მე ერთ ნომერში ვცხოვრობდით. საღამოობით ხან ვინ შემოგვაკითხავდა და ხანაც — ვინ, გვიანობამდე ვერ ვიძინებდით. ლევანი თავის თავგადასავლებს გვიყვებოდა და სიცილით გვხოცავდა. ეს ამბავიც მაშინ გვიამბო:

1977 წელს თეირანში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი შაჰ არიამერის თასზე. თეირანის ახლადაშენებული სპორტის სასახლის ტრიბუნებზე ნემსი არ ჩავარდებოდა. ფინალურ შეხვედრებს ირანის შაჰიც დაესწრო. ლევანმა ირანელი ჯაფარი 20 წამში წააქცია, ეგვიპტელი ხოდაბალა — 25 წამში, ბულგარელი ჩერნაგოვი — 2 წუთში, პოლონელი ტომასი — 10 წამში და ფინალში ირანელ სულეიმანს უნდა შეხვედროდა.

„ფინალამდე ერთი საათია დარჩენილი, მაგრამ უკვე სპორტის სასახლეში ვარ, ჩვენს მოჭიდავეებს „ვბალელშიკობ." ჩვენი მთავარი მწვრთნელი იურა შახმურადოვი მოშორებით ზის, რაღაც არ მომწონს — შემომხედავს, გაიღიმებს, კიდე შემომხედავს, კიდე გაიღიმებს. მივედი და გვერდით მივუჯექი, რა არი-მეთქი?

არაფერიო.

მა რა გაცინებს, შე ჩემის ვერანო-მეთქი!



XX საუკუნის ლეგენდარული ფალავნები — ლევან თედიაშვილი და ივან იარიგინი

ისევ იღიმება, მიყურებს, გითხრაო?

მითხარი-მეთქი.

წეღან აქ ერთ ირანელთან შემახვედრეს, ეგ შენი სულეიმანი, თურმე შაჰის ნათესავი ყოფილა, ძალიან უნდათ, რო გაიმარჯვოს — ოღონდაც ლევანა დაწვეს და დიდძალ ფულს მივცემთო.

მაინც, რამდენსა-მეთქი?

50 000 დოლარსაო.

ავუტყდი — მოდი რა, იმ კაცს მე შემახვედრე-მეთქი!

წადი, დაიკარგეო, რაღაცა უნდა იციგნო და გახდეს შარიო.

ერთი სიტყვით, უარი მტკიცა, მაგრამ გავიხედოთ და ის კაცი თვითონ არ მომადგა?! — შავწვერა, შავკეისიანი ირანელია, თან ვიღაც მეორე ახლავს, როგორც აღმოჩნდა, თარჯიმანი. გამიყვანეს განზე და მეტუტუნებიან: რა გინდა, ლევან, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ხარ, ხუთგზის მსოფლიოსი, ეს ოხერი ტურნირი რა გაგიხდა, აიღე ფული (კეისს მაჩეჩებენ) და დაწექიო.

შევიკარი შუბლი: რამდენია-მეთქი?

ორმოცდაათი ათასი ამერიკული დოლარიაო.



ილია მატესთან შეხვედრაში გაიმარჯვა ლევან თედიაშვილმა

ცოტაა-მეთქი.

მა რამდენი გინდაო?

ოთხმოციათასს კაპიკი არ მოაკლდება-მეთქი!

ეხლავეო, და გაცვივდნენ.

რა ვქნა, გამიხდა მართლა შარი-ხათაბალა, იმათ რო ის ფული მოიტანონ, უარი როგორღა ვუთხრა? წავედი და დავიმალე ტუალეტში, ცხვირი აღარ გამომიყვია გარეთ, რადიოთი რო გამომაცხადეს, მაშინღა გამოვვარდი და ლეიბისკენ სირბილით გავწიე. მომდევს ის საწყალი ირანელი, მაწვდის კეისს, რაღაცას მეხვეწება, მაგრამ აბა, გვიანია უკვე. დავიწყეთ ჭიდაობა. ეს სულეიმანი დიდი ვერაფერი შვილი გამოდგა. დავუწყე ღლაბუცი, ისე ვეთამაშები, როგორც კატა თაგვს. ის ერთთავად ხალიჩის გარეთ მიიწევს, მაგრამ მე არ ვუშვებ, ერთი სიტყვით, სულ თავ-ბედს ვაწყევლინებ. ბოლოს, ავიყვანე და დავაწყვიტე ლეიბზე — ისეთი „ვაყა“ დავაძახებინე, კედლებმა სულ ზანზარი დაიწყეს. ჩამოვარდა იმხელა დარბაზში სამარისებური სიჩუმე. გავიხედე შახის ლოჟისკენ, გამტკნარებული ზის. ავდექი და ფეხბურთელი რო გოლს გაიტანს და უხამს ჟესტს გააკეთებს, ამ შახს ეგრე არ გავუკეთე?! გაგიჟდა ხალხი, აიშალა მაყურებელი და ქვემოთ წამოვიდა,

პოლიცია ველარაფერს აწყობს, გავეშებულ ხალხს ველარ აკავებს. კიდევ კარგი გამოცვივდნენ ეს ჩვენი რუსები შახმურადოვის თამადობით, ალყაში მომაქციეს და ეგრე გამიყვანეს სამშვიდობოს, თორემ ცოცხლად შემჭამდნენ. რა თქმა უნდა, ბევრი საყვედური მივიღე, მაგრამ მე მაინც ძალიან კმაყოფილი ვიყავი — რაც მაგ შაჰებს საქართველოსთვის საქმე უქნიათ, ხო ერთბაშად ამოვიყარე ყველას ჯავრი-მეთქი."

* * *

1973 წლიდან ლევან თედიაშვილი საბოლოოდ გადაბარგდა 90 კგ წონით კატეგორიაში, მაგრამ არც ფენომენალური რეაქცია დაუკარგავს, არც დისტანციის სასწაულებრივი გრძნობა და არც კატისებური მოქნილობა. მაისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მსოფლიო თასი მოიგო, ივნისში კრასნოიარსკში ისახელა თავი — ფინალურ შეხვედრაში ალმაატელი სურიკოვი დაამარცხა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული მეორედ მოიპოვა, აგვისტოში მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი გახდა.

მოჭიდავეთა 1973 წლის მსოფლიო პირველობას ირანის დედაქალაქი მასპინძლობდა. ლევანმა თეირანში, „ფარახის" სტადიონის ხალიჩაზე ისეთი ამბავი ჩაიდინა, რომ ქვეყანა აალაპარაკა: ჯერ იყო და ყველა მეტოქე დაამარცხა, ფინალში ამ წონაში ოლიმპიურ ჩემპიონს ბენ პეტერსონს მოუგო და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს მეორედ დაეუფლა, მერე კი... მერე მოხდა ის, რომ სამბისტთა ნაკრების წევრი გენადი რუხლიადევი ავად გახდა. მწვრთნელები საგონებელში ჩაცვივდნენ. სამბისტებისთვის ეს პირველი მსოფლიო ჩემპიონატი იყო, თანაც, მოგეხსენებათ, სამბო რუსების გამოგონილი ჭიდაობაა და, ცხადია, უეჭველი მოგება უნდოდათ.

საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა არკადი ლენცმა ვახტანგ ბალავაძე განზე გაიხმო და ჰკითხა: მართალია, რომ ლევან თედიაშვილი ჭაბუკობისას სამბოსაც ჭიდაობდაო?

ჭიდაობდა და ეგრეო? 1966 წელს საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა და საკავშირო პირველობის პრიზიორიც გახდაო!

ეგ არი და ჩვენი საქმეო, — გაიხარა ლენცმა, — მოდი, რუხლიადევის ნაცვლად ლევანი ვაჭიდაოთო!

კი ბატონოო, — ვახტანგმა, — ოღონდ ლევანსაც ჰკითხეთო.

ლევანი თანაგუნდელებთან ერთად უკვე „ჩემოდანზე იჯდა," არხეინად იყო, იმ ჩემოდანში მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი ედო, ჯიბეში კი თვითმფრინავის ბილეთი.

მიადგნენ ახლა მას:

ხვალ უნდა იჭიდავოო!

სადაო?! — გაუკვირდა ლევანს.

„ფარახის" სტადიონზეო.

რას ამბობთ, კაცო, აკი ვიჭიდავეო?!

კიდევ უნდა იჭიდავოო.

რა იყო, ხო არ გააპროტესტესო?

არაო, ახლა სამბო უნდა იჭიდავო, კაცი ავად გაგვიხდა შენს წონაშიო.

მერე სამბოსი მე რა ვიციო?

ქართული ხო იცი და სამბოც ეგ არიო! — სიტყვა ჩააგდო ვახტანგმა.

კარგი, რაც არი, არიო! — გაიცინა ლევანმა.

მერე აღიარა: „ეგრე იოლად არ უნდა დავთანხმებულიყავი, ღამით თვალი ვერ მოვხუჭე, რამდენი ხანია სამბო აღარ მეჭიდავა, აღარც წესები მახსოვდა კარგად და არც მტკივნეული ფანდების კონტრილეთები. შევფიქრიანდი — ემანდ ხელი არავინ მომტეხოს-მეთქი, მაგრამ რაღას ვიზამდი, სიტყვა — სიტყვაა. რო აღარ დამეძინა, გენო გიორგაძე გავაღვიძე, „მუხაჩი" — მსუბუქი წონის სამბისტი, ადე, ბიჯო, მტკივნეულის კონტრილეთები მასწავლე-მეთქი. რომელი საათიაო? ჯერ ორია-მეთქი. იმან საფეთქელთან საჩვენებლი თითი დაიტრიალა — კაცო, მსოფლიო ჩემპიონატზე გადიხარ და ჭიდაობას ეხლა სწავლობო?!

ადე, ვერან, ადე-მეთქი! — და გავედით დარბაზში. დილის ხუთ საათამდე ვივარჯიშეთ."

სამბისტები საშინლად ღელავდნენ, დაძაბულები ჭიდაობდნენ, ყოველი ქულის დაკარგვას ტრაგედიად მიიჩნევდნენ და ლევანი რომ არა, საშვილიშვილოდ ჩაფლავდებოდნენ. ის გაუთავებლად ლაზღანდარობდა, ბიჭებს

ანეკდოტებს უყვებოდა, აცინებდა, ამხიარულებდა და ამით დაძაბულობასაც თანდათანობით უხსნიდა. სხვათა შორის, გენო გიორგაძე მაშინ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

ერთ-ერთ შეხვედრაში ლევანმა ამერიკელი მეტოქე ილეთზე დაიჭირა, შებოჭა და მსაჯის სასტვენს დაელოდა. 20 წამი უნდა ჰყოლოდა შებოჭილი, მაგრამ ლევანის ხასიათის კაცისთვის ეს 20 წამი მთელი საუკუნე იყო — დრო რომ რამენაირად გაეყვანა: ჯერ თავის სეკუნდანტს ჩაუკრა თვალი, მერე ამერიკელისას და ბოლოს ვახტანგ ბალავაძესაც გაუღიმა ეშმაკურად. ამის შემხედვარე მაყურებლებმა ხარხარი მორთეს და სანამ ის შეხვედრა არ დამთავრდა, მუცლები სულ ხელით ეჭირათ.

გასახდელში ვახტანგმა მოწაფე მკაცრად დატუქსა: რა დროს ციგნობაა, ბიჭო, მედალი გვჭირდებაო! ლევანმა ბოლომდე „იციგნა," მაგრამ ოქროს მედალი მაინც ჩამოიკიდა გულზე.

ასე გახდა ლევან თედიაშვილი ერთბაშად ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი.

ამ ცოტა ხნის წინათ, როცა თეირანში მყოფი ლევანი იმამალი ჰაბიბის შეხვდა, მსოფლიოში სახელგანთქმული ირანელი ფალავანი გადაეხვია და მხარზე ეამბორა. ჰაბიბი ირანელებისთვის ცოცხალი ლეგენდაა და მისმა ასეთმა საქციელმა იქ მყოფნი, ცოტა არ იყოს, გააკვირვა და დააბნია კიდეც. მათ გასაგონად კი ჰაბიბიმ ასეთი რამ თქვა: 1973 წელს ლევანმა დაამტკიცა, რომ თავისუფალი ჭიდაობა ყველა სხვა სახის ჭიდაობაზე მაღლა დგას. დარწმუნებული ვარ, მაშინ თედიაშვილს კლასიკოსებთანაც რომ ეასპარეზა, იქაც ჩემპიონი გახდებოდაო.

„კრუხის ბიჭსაც" ეგრე ეგონა — საგარეჯოში ჩასულ ლევანს დიდი საყვედური უთხრა, რა იყო, ბიჭო, ბარემ კლასიკურშიც გეჭიდავა და მესამე ოქროც აგეღოო!

იმ წლის ბოლოს, დეკემბერში, ერთ-ერთი ვარჯიშის დროს ლევანმა სერიოზულად დაიშავა ლავიწის ძვალი, რის გამოც კარგა ხანს ვეღარ ვარჯიშობდა. ვერც თბილისის საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზა, მერე კი, როცა მოიკეთა, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებისათვის სამზადისს განსაკუთრებული მონდომებით შეუდგა — ისეთი აზარტით ვარჯიშობდა,

რომ მეტი მოუვიდა და მადრიდში, ევროპის პირველობაზე, საკმაოდ გადაღლილი გაემგზავრა.

ნაკრების მწვრთნელები გვარიანად შეფიქრიანდნენ, ასეთი ლევანი მათ არასოდეს ენახათ, ღელავდნენ, მის ხალიჩას არ შორდებოდნენ და თავს უკმაყოფილოდ იქნევდნენ, მაგრამ „პალასო დე ლოს დეპორტესის“ სარბიელზე ლევან თედიაშვილმა, მიუხედავად ყველაფრისა, სამი შეხვედრა წმინდად მოიგო, დანარჩენი — ქულებით და მეორე საშუალო წონაში ევროპის ჩემპიონი გახდა.

მწვრთნელები კი მაინც ეჭვობდნენ — რას იზამდა თედიაშვილი სტამბოლის მსოფლიო პირველობაზე? თანაც გაჩნდა დიდი ხნის ნალოდინარი შანსიც, რომ საბჭოთა ქვეყნის ღირსება ქართველის ნაცვლად რომელიმე რუს მოჭიდავეს დაეცვა, თუნდაც მიუნხენის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან გენადი სტრახოვს, რომელიც ერთწლიანი პაუზის შემდეგ სწორედ იმ დროს დაუბრუნდა საჭიდაო ხალიჩას.

თედიაშვილი და სტრახოვი მანამდე არასოდეს შეხვედროდნენ ერთმანეთს, მანამდე ისინი სხვადასხვა წონით კატეგორიებში ჭიდაობდნენ, ლევანი 82 კილოგრამში, სტრახოვი — 90-ში.

უფის საკავშირო ჩემპიონატზე ლევანმა სტრახოვი სულ იოლად წააქცია, რითაც მწვრთნელების ეჭვი და მავანთა ფუჭი იმედები ერთბაშად გააქარწყლა და ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ „ისევ ის ლევანა იყო!“

ცხადია, სტამბოლში ლევან თედიაშვილი გაემგზავრა, იქ ყველა მეტოქეს დამაჯერებლად სძლია და თავისუფალ ჭიდაობაში მესამედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

* * *

„პური არა ვჭამოთ, მამაძალი?!“ — ეს სიტყვები ახლაც ჩამესმის ყურში.

„ხარება და გოგიას“ კახეთში ვიღებდით, კახელებს კი ძალიან უყვართ გიორგი შენგელაია, რომელსაც „ჩვენი ნატოს ბიჭს“ ეძახიან და სულ თვალებში შესციცინებენ. რა თქმა უნდა, უყვართ ლევან თედიაშვილიც, ამიტომ კეთილი მასპინძელი არ გველეოდა, გადასაღებ მოედანზე დილიდან-

ქართული ჭიდაობის
დიდი მოამაგე
ლადო გოგიბედაშვილი
და ლევან თედიაშვილი



ლევან თედიაშვილი და
იური შახმურადოვი.
ჯერ — მეტოქე,
მერე — მწვრთნელი



ვე იდგა რამდენიმე სერიოზული სახის კაცი და მოთმინებით ელოდებოდა, როდის მოვრჩებოდით საქმეს, რომ სუფრაზე წავეყვანეთ. სუფრა კი... მოგეხსენებათ კახური სუფრა თავისი მრგვლად მოხარშული დედლებითა და ნიორთავათი, თუშური ყველითა და წალამზე შემწვარი ჩალაღაჯით, ყაურმითა და ჭრელი ბურვაკის ხაშლამით და, რაც მთავარია, ქარვისფერი „რქაწითელით," რომელსაც ზოგი „მირონს" ეძახის, ზოგი „ზედაშეს" და ზოგიც „ბულბულის ცრემლს."

ერთ დღესაც მოგვადგა რამდენიმე კაცი — სუფრა გაშლილია და გელოდებითო.

ამ ერთ ეპიზოდსაც გადავიღებთ და გენაცვალოთ ჩემი თავიო! — უპასუხა გიორგიმ.

დადგნენ და დაგვიწყეს ლოდინი.

ეპიზოდი ასეთია: ხარება და გოგია თავისი ბიჭებით ციხეს დაეცემიან, ხარებას ძმა, სიმონა ჯიბუტი უნდა გაათავისუფლონ. სიმონას მე ვთამაშობ. აი, შემოგლიჯეს საკნის კარი და გამომიყვანეს ციხის ეზოში, სადაც ისეთი სროლა და ბათქა-ბუთქია გაჩაღებული, დედა შვილს არ აიყვანს. სანამ იქიდანაც გამიყვანენ, ბრმა ტყვია მხვდება და სასიკვდილოდ ვიჭრები. ომარი მხრებში ხელს მავლებს და გალავნისკენ მიმათრევს. მე ვწევარ, მკვდარს ვთამაშობ. ამ დროს კადრში შემორბის მაუზერმომარჯვებული ლევან თედიაშვილი და ყვირის: „დროზე, ბიჭო, დროზე, გაცივდა ხაშლამა!"

რა თქმა უნდა, ყველას სიცილი წაგვსკდა, მათ შორის — მეც და ის დუბლი გაგვიფუჭდა.

ომარი ცხენზე არ იყო ნაჯდომი, არადა, ყულარის ცხენსაშენიდან საგანგებოდ მისთვის ჩამოიყვანეს ერთი შავი აჯილღა, რომლის შემხედვარე კინოსტუდიის გამოცდილ ცხენოსნებსაც კი ფერ-ფური მისდიოდათ. მივედით გადასაღებ მოედანზე. ერთი ტრიალი მინდორია, ნაწვერალი. ამდენი ხალხით, ავტომანქანებითა და გადასაღები ტექნიკით გაღიზიანებული ცხენი ნერვიულობს, სულ ცახცახებს. ორ კაცს ორმაგი ლაგამით უჭირავს, მაგრამ ის მაინც ფრთხვინავს, ყალყზე დგება და გასაქცევად მიიწევს.

აბა, დავაი, შეჯექიო! — უთხრეს ომარს და იმანაც მაშინვე ქამარში ჩაიტანა ჩოხის კალთები, შესაჯდომად მოემზადა.

მე წინ გადავუდექი: არ შეჯდე, კაცო, გადმოგაგდებს-მეთქი!

ომარმა გაიღიმა, განზე გამწია და ცხენს თვალის დახამხამებაში ზურგზე მოევლო.

ცხენოსნებმა ლაგამი ხელში მიაჩეჩეს და განზე გადგნენ.

აჯილღა აიკალხა, ზამბარასავით დაიძაგრა, გაფრინდა და უმალ თვალს მიეფარა.

აღარ ვიცი, რა ვქნა, ხან აქეთ ვეცი, ხან — იქით, ცხენოსნებს ვეჩხუბები — რო გადმოაგდოს და რამე დაუშავოს, რა პასუხს იძლევით, კაცი ცხენზე არა მჯდარა-მეთქი!

ველოსიპედზე ხო მჯდარაო! — იცინიან.

კაცო, ველოსიპედი და ცხენი ერთია-მეთქი?!

გავიდა ათი წუთი, თხუთმეტი, ნახევარი საათი, ომარი კი არ ჩანს. ესენი აინუნშიც არ აგდებენ ამას, ფუსფუსებენ, ცხენებს კაზმავენ, გადასაღებად ემზადებიან.

მივედი ლევანთან: რა ვქნათ-მეთქი?

რა ვიცი, აბა, რა უნდა ვქნათო, — ისიც გვარიანად არის შეფიქრიანებული.

ბიჭო, უთხარი, იქნებ შენ მაინც დაგიჯერონ — ცხენებით წავიდნენ და მოძებნონ-მეთქი!

ამის თქმა იყო და ლევანს სახე გაებადრა, უკან მიმახედა. ვხედავთ, შავი აჯილღა ქივქივით მოდის, მოტეხილი, დაღლილი, თეთრ ქაფში ამოვლებული, ზედ კი ომარი ზის და გაღიმებული ხელს გვიქნევს.

ომარ ფხაკაძე განსაკუთრებული ფიზიკური ძალით გამოირჩეოდა. ერთხელ ლევანმა მითხრა, კინოში რო ვიჭიდავეთ, კინაღამ გავგიჟდი, მაგისთანა ღონიერი კაცი ჯერ არ შემხვედრიაო.

* * *

1975 წლის დასაწყისში, თბილისის საერთაშორისო ტურნირზე, ლევან თედიაშვილმა ოთხი წმინდა გამარჯვების შემდეგ ფინალში ქულებით მოუგო გროზნოელ ბეკხან ტუნგაევს და კიდევ ერთხელ მოიპოვა ვახტანგ

ბალავაძის სახელობის პრიზი. ირანელთა მწვრთნელმა, მრავალი სახელოვანი ფალავნის — ჰაბიბის, ტახტის, ზანდის, ხოჯასტეპურისა და სხვათა აღმზრდელმა ჰაბიბ ბულურმა ერთ ინტერვიუში განაცხადა: „ლევან თედიაშვილი განუმეორებელი ფალავანია. თითქმის მთელი ცხოვრება საჭიდაო დარბაზში მაქვს გატარებული და მეგონა აღარაფერი გამაკვირვებდა, მაგრამ მისმა ჭიდაობამ ეს აზრი გამიქარწყლა. იგი გასაოცარი ტექნიკისა და ფიზიკური ძალის მქონე ფალავანია. ლევანის ტექნიკური არსენალი ათ მოჭიდავესაც კი ეყოფა.“

მორიგ მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც სექტემბერში ახლა უკვე მინსკში გაიმართა, ლევანმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ბადალი არ ჰყავდა. მან ზედიზედ ჩამოიშორა გზიდან ჩემპიონობის პრეტენდენტები ბულგარელი აიბილოვი, იაპონელი მაკოტო და ფინალში თავის მარადიულ მეტოქეს, გერმანელ ჰორსტ შტოტმაისტერს დაუპირისპირდა.

1971-72 წლებში როცა ორივენი 82 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჭიდაობდნენ, თედიაშვილმა შტოტმაისტერი ჯერ სოფიაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე წააქცია და მერე მიუნხენის ოლიმპიადაზე. როდესაც ლევანი მეორე საშუალო წონაში გადავიდა, ყველას ეგონა, რომ ამ ორი უძლიერესი

ფალავნის შეხვედრას ვეღარასოდეს იხილავდნენ, მაგრამ წონა გერმანელმაც მოიმატა და ახლა ისინი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ.

ლევანმა მსახიობის ნიჭი პირველად სწორედ იმ შეხვედრაში გამოავლინა — მეტოქეს თავი ისე მოაჩვენა, ვითომ ძალიან იყო დაღლილი. საწყალმა ჰორსტმა „ჭამა“ და თავიდანვე შეტევაზე გადავიდა. ლევანსაც ეს უნდოდა, როგორც კი მეტოქის ყურადღება მოადუნა, მაშინვე შეცდომაზე დაიჭირა და პირველი მომგებიანი ქულა აართვა, მაგრამ ისევ კარგად ითამაშა და გერმანელი დაარწმუნა, რომ ეს „მოულოდნელი“ წარმატება თავადვე გაუკვირდა. შტოტმაისტერი გათამამდა, ჭიდაობის სტილი არ შეუცვლია, ისევ თავდაუზოგავად უტევდა და ბოლოს, როცა მიხვდა, რომ ლევანი არტისტობდა, გვიანღა იყო — უკვე 11 ქულით აგებდა.

მსოფლიოს ხუთგზისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ ლევან თედიაშვილს ახლა უკვე მონრეალის ოლიმპიური ხალიჩა ელოდებოდა

* * *

თანამედროვე ქართველი მოჭიდავეების უმეტესობას ორი ძირითადი ნაკლი აქვთ: მათ არ უყვართ, უფრო მეტიც, საშინლად ეზიზღებათ ეგრეთწოდებული „კროსები,“ ანუ საშუალო და გრძელ დისტანციებზე სირბილი, უამისოდ კი სპორტსმენი გამძლეობას ვერ გამოიმუშავებს და ხშირად, შეხვედრის ბოლოს, ნაპირზე გამოგდებულ თევზს ემსგავსება. მეორე და უმთავრესი ნაკლი ის გახლავთ, რომ მათ, როგორც წესი, მხოლოდ ერთი-ორი ამოჩემებული ილეთი აქვთ დამუშავებული და ცდილობენ მეტოქე როგორმე სწორედ ამ ილეთზე „დაიჭირონ,“ ასეთი მოჭიდავის გაფუჭება კი საკმაოდ იოლი საქმეა.

ერთხელ შემთხვევით ხელში ჩამივარდა კასპელი მწვრთნელის ლავრენტი კაციაშვილის უბის წიგნაკი, სადაც მისი მოწინააღმდეგე გუნდის ფალავნების გვარები იყო ჩამოწერილი, მათ გასწვრივ კი დაახლოებით ასეთი რაღაცები ეწერა: „ეწევა პაპიროზს, დიხანია სუ არა აქ,“ „ჭიდაობს გადავლებით, იცის ცერული და ბრუნი,“ „ჩოქელა კისრულის მეტი არაფერი იცის.“

ჩემი ღრმა რწმენით, ილეთების ასეთი სიმცირე „დედა ჭიდაობის“ ბოლოდროინდელი სავალალო მდგომარეობის ბრალია. ამას წინათ, ქართლის ერთ სოფელში შეჯიბრება გაიმართა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო — ბიჭებს კარგი ჩოხები ეცვათ, დამკვრელებიც კარგები ჰყავდათ, მაყურებელიც ბლომად იყო და მსაჯებიც წესითა და რიგით მსაჯობდნენ, მაგრამ შეჯიბრებას უმთავრესი რამ აკლდა — ილეთები, ურომლისოდაც თითქმის ყველა შეხვედრა ბღლარძუნს უფრო ჰგავდა, ვიდრე ჭიდაობას. არადა, ჩვენი ეროვნული საუნჯე ყოველთვის ილეთების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. კვალიფიცირებული იყო ექვსი ძირითადი დარგი: სარმები, კაურები, ღოჯურები, მოგვერდები, თეძოები და კისრულები. თითოეული მათგანი უამრავ ილეთს შეიცავდა, გარდა ამისა, არსებობდა თავდაცვითი ფანდები და კონტრფანდები. როგორც ამ საქმის სპეციალისტები ამბობენ, ქართული ჭიდაობა ორასამდე სხვადასხვა ილეთს ითვლიდა.

* * *

ლევან თედიაშვილს არც კროსები ეჯავრებოდა და „დედა ჭიდაობის“ მადლით, ილეთებიც ისე ჰქონდა შესისხლხორცებული, რომ ყოველი მნახველი განცვიფრებაში მოჰყავდა. ახლა იგი მონრეალის ოლიმპიური თამაშებისათვის ემზადებოდა — კვირაში ხუთ დღეს, თანაც დღეში რამდენჯერმე ვარჯიშობდა: დილით კუს ტბაზე კროსებს აწყობდა, მერე თავისი მრავალფეროვანი არსენალის ყოველ დეტალს ფალავანთა კლუბში ხვეწდა, შუადღისას საცურაო აუზში იყო, მერე კი ისევ ფალავანთა კლუბი და საღამოს საერთო წვრთნა საქართველოს ნაკრებთან ერთად.

ასეთი დაუღალავი შრომის შედეგი იყო ის, რომ 1976 წლის აპრილში ლევანი კიდევ ერთხელ გახდა ევროპის ჩემპიონი.

* * *

ამერიკელი ფალავანი, მიუნხენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი ჯონ პეტერსონი მონრეალში გულდამშვიდებული ჩავიდა — როგორც იქნა

თავიდან მოიშორა ლევან თედიაშვილი, რომელმაც მთელი ცხოვრება გაუმწარა, მსოფლიოს ყველა ჩემპიონატი მოუგო, მიუნხენში კი ოქროს მედალი ზედ ცხვირწინ ააცალა. ახლა ეს ლეგენდარული „ტედი," როგორც თედიაშვილს უცხოელი ჟურნალისტები ეძახდნენ, უკვე სხვა წონით კატეგორიაში ჭიდაობდა.

სამაგიეროდ, მისი უფროსი ძმა, მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ბენ პეტერსონი იყო შეფიქრიანებული — ლევანი ხომ ახლა სწორედ მის წონაში გამოდიოდა.

ძმებ პეტერსონებთან თედიაშვილს ძველი ნაცნობ-მეგობრობა აკავშირებდა.

ლევანმა ეს ამბავიც საგარეჯოს სასტუმროში მიამბო: „ერთხელ ჯონ პეტერსონი თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ჩამოვიდა. ამერიკელთა გუნდი სასტუმრო „თბილისში" დააბინავეს. მინდოდა ისეთი პატივი მეცა, რომ მთელი ცხოვრება დამახსოვრებოდა, ამიტომ შეჯიბრების წინა დღეს მანქანით გავუარე და კახეთში წავიყვანე.

ჩავედით, ჩვენებს ძალიან გაუხარდათ.

სანამ დედაჩემი სუფრას გააწყობდა, მამაჩემმა ქიტესამ მარანში შეგვიყვანა, აიღო კედელზე მიყუდებული თოხი, მიადგა ერთი ქვევრის პირს, მიწა გადააცალა და გამოაჩინა ქვის სარქველი. მიაყუდა თოხი ისევ კედელზე, აიღო ახლა სუფთა ჩვარი, ჩაიჩოქა და სარქველი გულმოდგინედ გადაწმინდა.

პეტერსონი თვალს ინტერესით ადევნებდა, შეკითხვებს არ იძლეოდა, იდგა და ელოდებოდა, რა მოხდებოდა ბოლოს.

ქიტესა დასწვდა, სარქველი აიტაცა და მიწის გროვაზე გულაღმა მიაწვინა.

ჯონს ხელი მოვკიდე და ახლოს მივიყვანე.

გადააცალა მამაჩემმა ქვევრის პირს საფენი და გამოჩნდა ღვინის მუქი, ლაპლაპა ზედაპირი. უცებ ის ზედაპირი აშხივლდა, ამოყარა ზემოთ წინწკლები და ამოჩქროლდა ღვინის საამო სურნელიც, მოედო მთელს მარანს

მამაჩემი დერგზე შემოდგმულ ჭიქას გადასწვდა, ქვევრში ჩაუშვა, გაავსო და ქარვისფერ სითხეს ღია კარიდან შემოსულ შუქზე გაჰხედა, მერე

მიიდო ტუჩზე, ნელა, დაგემოვნებით დალია და თვალები კმაყოფილებით გაუბრწყინდა.

შემოვიდა დედაჩემი, ხონჩით პური, ყველი, ნივრის მწნილი და ჭიქები შემოიტანა, მაგრამ არ ვიცი, რა მომივიდა, ავიხირე — გინდა თუ არა, ამერიკულად უნდა დავლიოთ-მეთქი!

ამერიკული დალევა როგორიღაა? — გაუკვირდა მამაჩემს.

დამაცადე, დამაცადე-მეთქი! — ავიღე ღვინის ჩამოსასხმელი რეზინის გრძელი შლანგი, გავჭერი შუაზე, ერთი სტუმარს მივეცი, მეორე ქვევრში ჩავუშვი და დავიწყე წრუპვა, ვითომ კოკტეილია!

რაღას იზამდა, ჯონმაც მომბაძა. ვსვამთ ეგრე.

მამაჩემმა გვიყურა, გვიყურა, მერე ჩაიქნია ხელი და მარნიდან გავიდა.

კარგა ბლომად რომ ჩავყლურწეთ, პეტერსონს მერეღა გაახსენდა:

ე-ე, რასა ვშვრებითო, ხვალ ხო შეჯიბრება გვაქვსო!

მე ვუთხარი, — კაცო, რა გინდა, ერთმანეთს არა ვხვდებით-მეთქი? ერთნაირად დავლიოთ და ხვალაც ზუსტად ერთნაირად ვიქნებით-მეთქი!

ერთი სიტყვით, კარგა მაგრა გამოვიბრუჟეთ.

წამოსვლისას მამაჩემს რამდენიმე ბოცა ღვინო გამოვართვი და წამოვედით.

პეტერსონი სასტუმროში მივიყვანე, ძლივს ავიტანე მეორე სართულზე და ჩავაწვინე ლოგინში.

დილით მივედი. წევს ისევ — ვერა დგება. თავი პირსახოცით გაუკრავს. ისეთ დღეშია, ხმასაც კი ვერ იღებს, ზმუის მარტო.

ჩავედი, ამოვიტანე ის ბოცები, ღვინო აბაზანაში ჩავუსხი და ვუთხარი — ადე, ვერან, პახმელიაზე უნდა გამოგიყვანო-მეთქი!

როგორაო?

როგორ და ღვინოში უნდა ჩაწვე, ჩვენა, ქართველები ეგრე გამოვდივართ პახმელიაზე-მეთქი.

რაღას იზამდა, ჩაწვა. ეტყობა ღვინის სუნმა იმოქმედა — ერთ ათ წუთში ისე გამოჩიტდა, იტყოდი, წუხელ წვეთიც არ დაულევიაო. გაგიჟებული იყო — თქვენ რა ხალხი ყოფილხართ, ეს რა კარგი რამე გცოდნიათო!“

ჯონის უფროსი ძმა — ბენი მონრეალის ოლიმპიადაზე ამერიკელების უმთავრესი კოზირი იყო, მათი ახალი მწვრთნელი, მიუნხენის ოლიმპიადის



„მონრეალ სტარი“:
„ტედი თანამედროვე სპორტსმენის ნამდვილი ეტალონია. იგი ყველაზე დიდია მსოფლიოში, ყველაზე ძლიერი და სრულყოფილი. ამიტომაც აღიარეს მონრეალის ოლიმპიური ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედ. ტედის ვარსკვლავი ნათლად კაშკაშებს და ზღაპრული სიმაღლიდან დაჰყურებს სარბიელს. იგი ალბათ კიდევ დიდხანს იკაშკაშებს, რადგან ტედი ბედის ნებიერია“.

ჩემპიონი დან გეიბლიც სწორედ ამ ორი ძმის იმედზე იყო. უმცროსმა გაუმართლა, უფროსმა კი... თუმცა სჯობს თავიდან დავიწყოთ: მეორე საშუალო წონაში ჩემპიონობის სამი რეალური კანდიდატი ჭიდაობდა — ლევან თედიაშვილი, ბენ პეტერსონი და ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი გერმანელი ჰორსტ შტოტმაისტერი. პეტერსონებისა არ იყოს, შტოტმაისტერიც დიდი ხანი იყო, რაც ჯიუტად მიიწევდა მიზნისაკენ, მაგრამ თედიაშვილს ვერაფერს უხერხებდა. ჭიდაობის გულშემატკივრები მონრეალში სწორედ ამ სამი უძლიერესი ფალავნის მძაფრი კონკურენციის მოწმენი გახდნენ.

იქ მომხდარი ამბების აღსაწერად გაზეთ „ლელოს“ 1976 წლის 19 სექტემბრის ნომერს მოვიშველიებ:

„პირველი წრე. თედიაშვილმა წუთ-ნახევარში მოაგვარა საქმეები უენ თომასსთან (ვირჯინიის კუნძულები). წმინდად მოიგო პირველი ბრძოლა შტოტმაისტერმაც. ბენ პეტერსონს უფრო ძნელი მეტოქე ჰყავდა — რუმინელი სტელიცე მორკოვი. ფიზიკურად ძლიერ და შეუპოვარ რუმინელს პეტერსონმა შვიდი ქულა აართვა, მაგრამ ოთხის დათმობა მაინც მოუხდა.

მეორე წრე. ლევან თედიაშვილმა მეორე ბრძოლაც წმინდად მოიგო, თუმცა მეტოქე ბეჭებზე არ დაუცია, შვედი ანდერსონი გაკვირვებული იყო: რამდენი წელია ვჭიდაობ და 14 ქულით არც ერთი ბრძოლა არ წამიგიაო. წმინდად მოიგო შეხვედრა შტოტმაისტერმა, ამჯერად უნგრელ მოლნართან. მძაფრი გამოდგა პეტერსონისა და ბულგარელი ლუთვიევის შეხვედრა. ბედმა რამდენჯერმე შეაქცია ზურგი ამერიკელს ამ ორთაბრძოლაში, მაგრამ პეტერსონი ჯიუტი და გაუტეხელი კაცია. მან მაინც გამოასწორა მდგომარეობა და გაიმარჯვა საკმაოდ უცნაური შედეგით — 14:13. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამერიკელს კენჭისყრისას სხვებზე მეტად უმტყუნა ბედმა, მაგრამ ერთხელ მან სწორად შენიშნა: რა მნიშვნელობა აქვს, ადრე შეხვდები ძირითად კონკურენტებს თუ გვიან, მთავარია ისინი სათითაოდ დაამარცხოო.

მესამე წრე. თედიაშვილმა ინგლისელი მორის ალანი რამდენიმე წამში დაამაცხა. როგორც იქნა, პირველი წმინდა გამარჯვება იზეიმა პეტერსონმაც, მან ამჯერად იაპონელ იაცუს სძლია. შტოტმაისტერი ოთხ წუთში გაუსწორდა პოლონელ კურჩევსკის.

მეოთხე წრე. თედიაშვილი-შტოტმაისტერი, მეოთხე წრისა და ალბათ მთელი ოლიმპიური ტურნირის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა. ამ ბრძოლას კარგა ხანია ველით. მაგრამ რა ხდება? ან შტოტმაისტერი ის არ არის, ვინც გვეგონა, ან ლევანმა მისი გვარის ამოშლა განიზრახა მოჭიდავეთა სიიდან. დიდი ხნის ნანატრი ბრძოლა და ასეთი უთანაბრო ძალები! გამბედაობა შტოტმაისტერს არ აკლია, არც ჟინი და არც აზარტი. არადა, თითქოს ვარჯიშობსო, დაავლებს ხელს ლევანი მეტოქეს და ან ხიდზე გადაჰყავს, ან — ჩოქბჯენში. ასე ხუმრობა-ხუმრობაში დააგროვა 17 ქულა და შეხვედრაც დამთავრდა. თვალებს არ ვუჯერებთ, ნუთუ გერმანელმა 3 ქულაზე მეტი ვერ წაართვა მეტოქეს?! შტოტმაისტერის მარცხმა პეტერსონს ენერგია შემატა. კუბელ მორგანს მან ერთ წუთში ბოლო მოუღო.

მეხუთე წრე. ლევანი 4 წუთში გაუსწორდა კანადელ ტერი პეისს, პეტერსონმა კი ხუთი ქულის სხვაობით დაამარცხა შტოტმაისტერი."

მეექვსე წრეში ლევანმა 7:2 დაამარცხა რუმინელი სტელიცე მორკოვი. დარჩა გადამწყვეტი ბრძოლა ამერიკელ ბენ პეტერსონთან, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონის ვინაობა უნდა გამოავლინოს.

ფინალური შეხვედრა 31 ივლისს, გვიან ღამით გაიმართა.

სჯობს, თვითონ ლევანს მოვუსმინოთ: „ამერიკელები მონრეალში თავს მასპინძლებად გრძნობდნენ — კანადა და ამერიკა რამ გაყო. ვიცოდი, რომ მსაჯებიც ასევე ფიქრობდნენ, ამიტომ ყველანაირად ეცდებოდნენ ეს შეხვედრა პეტერსონის სასარგებლოდ დამთავრებულიყო. ფინალის წინ სცენარი შევადგინე — უნდა დამემტკიცებინა, რომ ბენი მსაჯების დაუხმარებლადაც შესძლებდა ჩემს დამარცხებას. ამიტომ, თავიდანვე, როგორც კი მოწინააღმდეგე ჩოქბჯენში გადავიყვანე და ერთი ქულა ავართვი, აღარ მიაქტიურია — ვიდექი ჩემთვის და ბენს მარცხენა ხელით შუბლს ვუზელდი. ეს ისე აღიზიანებდა, როგორც ხარს წითელი მოსასხამი. ის მთელი მონდომებით ცდილობდა ეჭიდავა, მე კი არ ვჭიდაობდი, ამიტომ მსაჯებმა გაფრთხილება მომცეს და ანგარიში გათანაბრდა — 1:1. იძულებული გავხდი ცოტა ხელ-ფეხი გამეტოკებინა — ფეხებში შევუვარდი და ერთი ქულა კიდევ ავართვი, მაგრამ, ჩემი სცენარის მიხედვით ყველანი უნდა დამერწმუ-

ბოლო შეხვედრა 17-წლიან სპორტულ კარიერაში. მოსკოვი, 1980 წლის 19 მაისი. სსრ კავშირის 36-ე ჩემპიონატის ფინალი: ლევან თედიაშვილი — ილია მატე.

ნებინა, რომ პეტერსონს ჩემი დამარცხება იოლად შეეძლო, ამიტომ უკან დავიხიე, ჩოქბჯენში გადავედი და კიდევ ერთი ქულა ვაჩუქე. პირველი პერიოდი ფრედ დამთავრდა — 2:2.

ბენის სეკუნდანტი ჯონი იყო. მას უკვე მოესწრო ოლიმპიური ოქროს მედლის აღება და ახლა უფროს ძმას აგულიანებდა — შესვენებაზე მასაჟს უკეთებდა და თან რაღაცას ყვიროდა, აღგზნებული მუშტებს იქნევდა. მე ჩვენებისკენ გავაპარე თვალი, ძალიან შეშფოთებულები ჩანდნენ და გუნებაში გამეცინა, მათ ხომ ჩემი საიდუმლო სცენარის შესახებ არაფერი იცოდნენ.

მეორე პერიოდში ეგრევე ქულა ავიღე და ბენს კიდევ ერთი ქულა დავუთმე. ანგარიში კვლავ გათანაბრდა. მე ისევ დროს ვჭიმავდი, ვპასიურობდი, მაგრამ მსაჯები გაფრთხილებას აღარ მაძლევდნენ, ცდილობდნენ ყველასთვის ეჩვენებინათ, როგორი ობიექტურები და მიუკერძოებლები იყვნენ.

ამერიკელი გულშემატკივრების ღრიანცელი იქაურობას იკლებდა — მათი კერპი ახლოს იყო მიზანთან, ამაში ეჭვი უკვე აღარავის ეპარებოდა. მეხუთე წუთზე ისევ თითო ქულა ავიღეთ, ანგარიში კვლავ თანაბარი იყო— 4:4. თვალი ტაბლოსკენ გავაპარე — მეორე პერიოდის დამთავრებას 37 წამი აკლდა. ბენს სარმა გამოვდე, ჩოქბჯენში გადავიყვანე და ორი ქულა ავართვი — 6:4.

შესვენებაზე ჩემს მასაჟიტს გავექილიკე — ეჰ, მეცოდება ეს საწყალი, წაუგია და ვერ გაუგია, არადა, რა კარგი ბიჭია-მეთქი!

მესამე პერიოდში პეტერსონს ყველა წესითა და კანონით დაშვებული ილეთებით კიდევ ხუთი ქულა ავართვი, თავად ქულა დავთმე — 11:5. გაოგნებული მსაჯებიც ვეღარაფერში მომედავნენ."

ამ შეხვედრის შემდეგ გაზეთ „მონრეალ სტარის" კორესპონდენტი წერდა: „ტედი თანამედროვე სპორტსმენის ნამდვილი ეტალონია. იგი ყველაზე დიდია მსოფლიოში, ყველაზე ძლიერი და სრულყოფილი. ამიტომაც აღიარეს მონრეალის ოლიმპიური ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედ. ტედის ვარსკვლავი ნათლად კაშკაშებს და ზღაპრული სიმაღლიდან დაჰყურებს სარბიელს. იგი ალბათ კიდევ დიდხანს იკაშკაშებს, რადგან ტედი ბედის ნებიერია".

მონრეალის შემდეგ „ბედის ნებიერმა," მოუსვენარმა „ტედიმ" ისევ აუშვა აფრები, თავისი გემი მაგელანივით შეაცურა ოკეანეში და ახალი, უცნობი მიწების დასაპყრობად გაემგზავრა — იგი მეორე საშუალო წონიდან 100-კილოგრამიანთა კოჰორტაში გადავიდა, სადაც ისეთი ვარსკვლავები ჭიდაობდნენ, რომელთა სახელები დღემდე შემორჩა სპორტის ისტორიას. აი ისინიც:

კრასნოიარსკელი ივან იარიგინი — ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ქერა, დინჯი გოლიათი;

ვახო, ბესო და ლევანი

გროზნოელი ასლანბეკ ბისულთანოვი — მსოფლიო ჩემპიონი, განსაკუთრებული ფიზიკური ძალის მქონე ათლეტი;

მახაჩყალელი მაჰომედ მაჰომედოვი — ევროპის ჩემპიონი, საოცრად ამტანი, წყნარი და გულკეთილი ბიჭი;

დონეცკელი ილია მატე — მსოფლიო ჩემპიონი, მხარბეჭიანი, ყურადღებით მზირალი.

ისინი და მათთან ერთად ლევან თედიაშვილიც ოლიმპიურ ნაკრებში ადგილის დამკვიდრებას ცდილობდნენ. დაიწყო ხანგრძლივი და მომქანცველი მარათონი, რომლის ფინიში 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშები უნდა ყოფილიყო.

ხარება — ომარ ფხაკაძე,
გოგია — ლევან თედიაშვილი

* * *

ომარ ფხაკაძის ბინაში ტელეფონი აწკრიალდა. ომარის მეუღლემ, დონარა ჯანუყაშვილმა ყურმილი აიღო:

— გისმენთ!

— ხარება შინ არი?

— გასულია, რა გადავცე? — ეცინება ქალბატონ დონარას.

— უთხარი, გოგიამ დარეკა-თქო!

ომარ ფხაკაძეს მხოლოდ დები ჰყავდა, ეტყობა ბავშვობიდან ძმის ნატრული იყო და რადგან ფილმში მე და ის ძმებს ვთამაშობდით, მგონი დაიჯერა, რომ სინამდვილეშიც მისი ღვიძლი დედმამიშვილი ვიყავი:

— როგორა ხარ, ძმაო!

— კარგად, ხარებ, შენა?

— რა ვიცი, ბიჭო, ამ ბოლო დროს რაღაც ისე ვეღარა ვარ.

ყველამ ვიცოდით, უკურნებელი სენი რომ სჭირდა და საშინლად განვიცდიდით, ერთმანეთს რომ შევხვდებოდით, მხოლოდ ომარის ავადმყოფობაზე ვსაუბრობდით, ვწუხდით, რომ ვერაფერს ვშველოდით.

გიორგი შენგელაიას ფილმმა მართლაც ძმებივით დაგვაახლოვა.

— ჰა, დუქნის ლომო! — სიცილით იჭაჭება გოგია კენკიშვილი და მედუქნე ილოს, რომელსაც ყაჩაღებთან შეამხანაგება გადაუწყვეტია, მხარზე ვეება ტორს უბაგუნებს.

— ეჰ, კარგი რა, გოგი! — უკმაყოფილოდ იშმუშნება ილო, იგივე მიშა სალაძე.

1981 წელს, როცა ოლიმპიური ჩემპიონი ნიკოლოზ ბალბოშინი გზიდან ჩამოიცილა, მიხეილ სალაძე ჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, მერე მთელი პლანეტისა და ბოლოს მსოფლიო თასსაც დაეუფლა. იყო უნივერსიადის სამგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის ოთხი ოქროსი და სამი ვერცხლის მედლის მფლობელი, სპარტაკიადის ჩემპიონი, 1981 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოჭიდავე.

— დუქნის ლომო! — სიცილით იჭაჭება გოგია კენკიშვილი.

მიშა სალაძეს მიმტევებლად ეღიმება, მან ყველაზე კარგად იცის ლევანის ფასი. ერთხელ მითხრა კიდეც — თედიაშვილი, როგორც მოჭიდავე, ჩემი იდეალი იყოო.

ბინდდება. საგარეჯოს ტყეში, ყაჩაღების ნაბუდარზე გაშლილ სუფრას ვუსხედვართ და გვარიანად შეზარხოშებულები მორიგ სადღეგრძელოს ვამბობთ. ლერი მაჩაიძის მომზადებული ყაურმიდან აღარაფერი დარჩენილა, მარტო წვენიღა ჩაყინულა ქვაბში. ლევანის უფროსი ბიჭი, ვახო იმ ქვაბში უიმედოდ ჩაიცქირება:

— მამი, ხორცი აღარ არი?

— ჰა, კუხნის ლომო! — ხარხარებს ლევანი და დამორცხვებულ ბიჭს კისერში კოცნის.

ჩვენთან არის ძიაც, დინჯი, უთქმელი ავთანდილ მაისურაძე — სახელოვანი ქართველი ფალავანი, უზარმაზარი ტანის ვაჟკაცი. აქვეა მსახიო-

ბი გია ჯაფარიძე — ისიც მოჭიდავესავით კარგად ჩადგმული ბიჭი. ძიასი არ იყოს, ფილმში მასაც უცნაური როლი აქვს, ხმას არ იღებს, სულ ჩუმადაა, ზოგჯერ თუ ჩაფიქრდება, კეფას მოიქექავს და მაშინაც ერთ სიტყვად გაერთიანებულ ამ უაზრო ფრაზას ამბობს: „ჩორტიოზნაეტ.“ ფილმში მას არც სახელი აქვს და არც გვარი, ყველა ჩორტიოზნაეტას ეძახის.

აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ფეტივალზე, რომელიც ტაშკენტში გაიმართა, გიორგი შენგელაიას ფილმში მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ლევან თედიაშვილს „ოქროს არჩა“ გადასცეს. ვიცი, რომ ლევანს ეს პრიზი ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლებზე ნაკლებად არ ეამაყება.

* * *

1978 წელს ლევან თედიაშვილს საკავშირო ჩემპიონატზე არ უასპარეზია. ილია მატემ ქულებით მოუგო ივან იარიგინს, ასლანბეკ ბისულთანოვს კი წმინდად და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, მაგრამ 1978 წლის მსოფლიოს პირველობაზე მაინც ვერ წავიდა — თედიაშვილმა იგი თბილისის საერთაშორისო ტურნირზე დაამარცხა და ნაკრების შემადგენლობიდან გამოთიშა.

იმავე წელს ლევანმა ევროპის ჩემპიონატიც მოიგო, მაგრამ მსოფლიო პირველობაზე წმინდად წააგო გერმანელ ჰერალდ ბიუტნერთან და ჩემპიონატის ვერცხლის მედალს დასჯერდა. სხვას ეს, რასაკვირველია, დიდ წარმატებად ჩაეთვლებოდა, მაგრამ ლევანს — ნურას უკაცრავად! ყველას დაავიწდა, რომ თავის დროზე ბიუტნერთან ივან იარიგინსაც წმინდად ჰქონდა წაგებული.

საქართველოში ჩამოსულს სეტყვასავით დააყარეს შეკითხვები — რა მოხდა? რატომ მოხდა? ვინ არის დამნაშავე? ერთმა ჟურნალისტმა კი ეტყობა გასამხნევებლად ჰკითხა: „მითხარით, არსებობს კი ბეჭდაუდებელი ფალავანი?“

— როგორ არა, რამდენიც გინდა. — მშვიდად უპასუხა ლევანმა.

— მაგალითად?

— მაგალითად, მამაჩემი ქიტესა.

თედიაშვილები თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე

— რას მეუბნებით, მამათქვენიც ჭიდაობდა?!

— საქმეც ეგ არის, რომ არასოდეს უჭიდავია და ამიტომ არც არასოდეს წაქცეულა.

1979 ილია მატეს აღზევების წლად იქცა. მან თბილისის სერთაშორისო ტურნირზე დაამარცხა იარიგინი, ბისულთანოვი, მაჰომედოვი და პირველ ადგილზე გავიდა, ევროპის ჩემპიონატზე თვით ბიუტნერს აწვნევინა მარცხი და კონტინენტის ჩემპიონი გახდა, მერე კი სსრ კავშირის VII სპარტაკიადაც მოიგო.

ლევანი ამ შეჯიბრებებში არ მონაწილეობდა, იგი თავისი პოტენციური მეტოქის ტრიუმფს შორიდან ადევნებდა თვალს.

1980 წელს, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების წინ ლევანმა გადაწყვიტა, რომ მეტი ლოდინის დრო აღარ იყო და თბილისის საერთაშორისო ტურნირზე გამოვიდა. როცა ის და მატე ხალიჩაზე ერთმანეთის პირისპირ დადგნენ, სპორტის სასახლის ტრიბუნებზე ბუზის გაფრენის ხმას გაიგო-

ლევან თედიაშვილი და ნანა მჭედლიშვილი

ნებდით. მაყურებლებს ერთადერთი სურვილი ჰქონდათ და ეს სურვილი მათთვის ლევან თედიაშვილს უნდა შეესრულებინა, მაგრამ ის შეხვედრა ლევანმა წააგო — 4:5

— რა ქენი, ბიჭო, ეგა? — ჰკითხა გასახდელის კართან ჩასაფრებულმა „კრუხის ბიჭმა."

— შემეშვი რა, — შეუღრინა ლევანმა.

— აბა, როგორ შეგეშვა, კაცო, როგორა!

— მორჩა, დღეის ამას იქით აღარ ვიჭიდავებ!

— აღარ იჭიდავებ და შენი აჯობებს!

ერთი თვის შემდეგ ლევან თედიაშვილი უკრაინაში გაემგზავრა, იქ კონჩა-ზასპას საწვრთნელ ბაზაზე თავისი უფროსი ძმა, გერმანე გამოიძახა და მისი დახმარებით ინტენსიურ ვარჯიშს შეუდგა.

ძმა ძმისთვის და ამ დღისთვისო — გერმანეს სამსახურიდან უხელფასო შვებულება აეღო და ლევანს სპარინგ-პარტნიორობას უწევდა. თავდაუზო-



დიდი ჩემპიონის გაცილება
დიდი სპორტიდან.
მარცხნივ — ილია მატე,
მარჯვნივ — ივან იარიგინი

გავმა ვარჯიშმა შედეგი გამოიღო — თედიაშვილი თანდათანობით იბრუნებდა დაკარგულ ფორმას, მაგრამ გულს მაინც ეჭვი უღრღნიდა, გრძნობდა, რომ ასაკს თავისი გაჰქონდა, „ის ლევანა“ აღარ იყო.

და აი, დადგა 1980 წლის მაისი. მოსკოვში საბჭოთა კავშირის 36-ე ჩემპიონატი ტარდება. ლევან თედიაშვილმა და ილია მატემ ყველა შეხვედრა მოიგეს და ფინალში გავიდნენ. სწორედ ამ შეხვედრამ უნდა გადაწყვიტოს, ვინ გახდება ოლიმპიური ნაკრების პირველი ნომერი — მატე თუ თედიაშვილი.

პირველად მატემ გარისკა, იგი გააფთრებულ შეტევაზე გადავიდა და მომგებიანი ქულაც აიღო.

ლევანი პირველი ორი პერიოდის განმავლობაში არ უტევდა, თავს უფრთხილდებოდა, ძალებს ზოგავდა.

დაძაბულობისაგან გაფითრებული, ავი წინათგრძნობით შეპყრობილი მატე ყურადღებით ადევნებდა თვალს მეტოქის ყოველ მოძრაობას, იცოდა ლევანის ამბავი და ამიტომ განსაკუთრებულ აქტიურობას აღარ იჩენდა, ერჩივნა ისევ მოწინააღმდეგეს წამოეწყო იერიში.

ლევანმა მხოლოდ მესამე პერიოდში შეუტია, ხალიჩაზე საშინელი ქარბორბალა დატრიალდა, იერიშს იერიში მოჰყვა.

მატე ქულას აგებს, იგი მთელი მონდომებით ცდილობს თავის დაცვას, მაგრამ პასიურობისათვის შენიშვნას აძლევენ, ამიტომ იძულებულია თვითონაც შეუტიოს.

ლევანი სასწაულს ახდენს — იგი კიდევ ერთ ქულს იღებს!

მატე გრძნობს, რომ ასე უსიკვდილოდ წააგებს, ამიტომ თავგანწირვით უტევს, ანგარიშს ათანაბრებს და მალე წინაც გადის.

თედიაშვილი დაიღალა, არა, აღარ არის „ის ლევანა,“ უკვე ოცდათორმეტი წლისაა, სპორტსმენისთვის ეს სიბერის დასაწყისია, მაგრამ ამასაც უნდა მოერიოს, ასაკსაც უნდა აჯობოს! მოულოდნელად შეტევაზე გადადის და ანგარიშს ათანაბრებს — 4:4!

სიტუაცია საშინლად იძაბება. მატე შედრკა, მიხვდა, რომ ლევანთან გამარჯვება მის ძალებს აღემატება და ამიტომ ცდილობს დრო გაყვანოს, ისედაც რაღა დარჩა — რამდენიმე ათეული წამი გვერდითი მსაჯი მოით-

ხოვს, რომ მატეს კიდევ ერთი გაფრთხილება მისცენ, მაგრამ შუამავალი მერყეობს.

თედიაშვილი კი ისევ თავდაუზოგავად უტევს, ცდილობს მთელი თავისი გამოცდილება, ყველაფერი, რაც კი 17 წლის მანძილზე შეუძენია ამ ბოლო წამებში გამოიყენოს, დაღლილობისაგან ძლივსღა სუნთქავს, ჰაერი აღარ ჰყოფნის, მაგრამ მაინც გააფთრებით უტევს.

დრო კი შაგრენის ტყავივით ილევა, თვალსა და ხელს შუა იპარება და, აი, გონგის ხმაც. შეხვედრა მთავრდება, ანგარიშია 4:4, მაგრამ იმარჯვებს ილია მატე, რომელმაც პირველი მომგებიანი ქულა აიღო.

დაღლილობისაგან გასავათებული ლევანი ფეხებს ვეღარა გრძნობს, ეშინია, ხალიჩაზე არ წაიქცეს და ამიტომ სეკუნდანტს მხარზე ხელს გადასდებს, ზედ ეკიდება.

ახლა უკვე სეკუნდანტი გრძნობს მის ასკილოგრამიან სიმძიმეს და გასახდელისკენ ტაატით მიჰყავს.

ასეთი იყო ლევან თედიაშვილის უკანასკნელი ორთაბრძოლა.

სახეზე პირსახოცწაფარებული ლევანი გასახდელში გულაღმა წევს და სულს იბრუნებს. სეკუნდანტი უხმოდ დგას, კრინტს არა სძრავს, დამარცხებულსა და მისი აზრით, სასოწარკვეთილ ფალავანს ასე თანაუგრძნობს. უეცრად, გულიანი ხითხითი ესმის, სახიდან პირსახოცს აცლის და გაკვირვებული სახით უყურებს.

ლევანი იცინის, მთელი სხეული უთახთახებს.

— რა იყო, რა გაცინებს?! — ეკითხება შემცბარი სეკუნდანტი.

— რა ვქნა, კაცო, რა პასუხი გავცე ეხლა კრუხის ბიჭსა?!

სეკუნდანტმა არ იცის ვინ არის კრუხის ბიჭი და ამიტომ ფიქრობს: „ეხ, დაიღალა ბიჭი, მაგრა დაიღალა.“

დაიღლები, მა რა მოგივა! დაიღლები, როცა 17 წლის მანძილზე თავდაუზოგავად ვარჯიშობ, როცა 9 წლის განმავლობაში პლანეტის ყველაზე ღონიერ მამაკაცებს ერკინები, როცა 640 საერთაშორისო შეხვედრიდან სულ რამდენიმე ორთაბრძოლას წააგებ, მეტს არა. მართლა რკინისა ხომ არ არი, რომ არ დაღლილიყო, თუმცა, რკინაც იღლება, ფოლადიც კი იღლება. ლევანიც დაიღალა, მაგრამ არ გატყდა.

* * *

1993 წლის სექტემბერი. სოხუმში ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებს. მტერმა თბილისიდან ჩამოსული ტუ-154 ააფეთქა. დაიღუპა თვითმფრინავის 80 მგზავრი. აეროპორტი მეორე დღესაც იბომბება.

მეორე დღეს, 23 სექტემბერს, იმ საშინელ კონონადას ერთადერთი ადამიანი ემსხვერპლა — ლევანის უფროსი ვაჟი ვახტანგ თედიაშვილი.

„ბედის ნებიერი ტედი“ არც ისეთი ბედნიერი ყოფილა, როგორც კანადელ ჟურნალისტს ეგონა.

მაგრამ ლევანი ვერც ამან გატეხა, ვერა, ვერ გატეხა.

იგი ახლა მხოლოდ ნანაზე ფიქრობდა, ნანაზე და ბესოზე.

ლევანის მეუღლეს, ნანა მჭედლიშვილს უფალმა სასწაულმოქმედი მადლი მოჰფინა — ხელოვნების საოცარი ნიჭით დააჯილდოვა და ამით გარდაუვალ დაღუპვას გადაარჩინა.

ქალბატონი ნანა ფაიფურის ყვავილებს ძერწავს.

დგახარ მის გამოფენაზე, შეჰყურებ ამ უნატიფეს ქმნილებებს და გეჩვენება, რომ ყველა ნამუშევარს ერთადერთი სახელი აქვს — „შვილის საფლავზე მისატანი ყვავილები,“ თუმცა აქ იმდენი ყვავილია, ყველას ეყოფა, აფხაზეთში დაღუპულ ყველა მეომრის საფლავს ეყოფა.

ლევან თედიაშვილი

დაიბადა 1948 წლის 15 მარტს საგარეჯოში. თავისუფალი სტილის მოჭიდავე (82, 90, 100 კგ). XX და XXI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1972, მიუნხენი და 1976, მონრეალი). მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი: ოთხჯერ — თავისუფალ ჭიდაობაში (1971, 73, 74, 75), ერთხელ — სამბოში (1973). მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1978), მსოფლიოს თასის მფლობელი (1973), ევროპის სამგზის ჩემპიონი (1974, 76, 78), სსრკ ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი (1971) , სსრკ ორგზის ჩემპიონი (1973, 74). სსრკ წლის საუკეთესო სპორტსმენი (1973). საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი (ბრინჯაოს პრიზი). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის, სოკის, ფილას, ღირსების ორდენების კავალერი.

LEVAN TEDIASHVILI

Freestyle wrestler (82, 90, 100 kg), was born on March 15, 1948 in Sagarejo (Eastern Georgia). He is a champion of XX and XX1 Olympic Games (Munich 1972, Montreal 1976), five time world champion: four times in freestyle wrestling (1971, 1973, 1974, 1975) and once in Sambo (1973). Tediashvili is the silver medalist of the world championship (1978), the world cup winner (1973), three-time champion of Europe (1974, 1976, 1978), champion of the USSR 5th sports and athletics meeting (1971) and twice champion of the USSR (1973, 1974). He was named the best sportsman of the USSR (1973) and Georgia's best sportsman in XX century (bronze prize). Tediashvili was the USSR Honored Master of Sports. He was decorated with Vakhtang Gorgasali Order of the 2nd class, Order of Honor and the orders from FILA and IOC.